

5-54



34(05)
5-54.

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულები

1934 წლის მარტის 15	№ 5-6 გ ა ნ ც ი თ ა ი ლ ე ნ ა შ ა ბ რ ე ლ ი	ა/კსფსრ სახალხო კომისარ- თა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.
------------------------	--	--

შ ი ნ ა ა რ ს ი :

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და სრულიად
საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო
კომიტეტისა.

1573.

- შუბ. 48. კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ 1934 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.
- 49 კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ 1934 წლი მოსავლიდან სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა
და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.


- 50. ა/კსფსრ ქალაქების და დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის პროექტების შედგენის და დამტკიცების შესახებ.
- 51. პერსონალური პენსიების დებულების შეცვლის შესახებ.
- 52. ა/კსფსრ 1934 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის პრეზიდიუმისა.

- 53. ა/კსფსრ-ში 1934 წელს საგაზაფხულო თევის კამპანიის სამზადისის მსვლელობის შესახებ.
- 54. ქალ. განჯის სამეურნეო-კულტურული მშენებლობის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

- 55. ა/კსფსრ-ში მომუშავეთა რაოდენობისა და სამუშაო ხელფასის ფონდების ერთდროული აღრიცხვის ჩატარების შესახებ.
- 56. შეუწყვეტელი მუშაობისათვის ქვედა საფინანსო ორგანოებისა, შემნახველი საღაროებისა და სახელმწიფო ბანკის მომუშავეთა სამუშაო ხელფასის პერიოდული მომატების შესახებ.



- 57. 1934 წელს თივის მოსავლის აღების კაპიანის გეგმის შესახებ.
- 58. 1934 წლის სასილასო კაპიანის გეგმის შესახებ.
- 59. 1934 წლის მოსავლის თივის კონტრაქტაციის (დამზადების) შესახებ.
- 60. 1934 წლის მოსავლის ღუფას კონტრაქტაციის შესახებ.
- 61. „ა/კ. სახვატობისათვის“ აზერბაიჯანის სსრ-ში 1934 წლის მოსავლის ზაფრანის დამზადების გადაცემის შესახებ.
- 62. 1934 წელს ზაფრანის კონტრაქტაციის შესახებ.
- 63. 1934 წლის მოსავლის კენაუისა და ყუბის კანაუის ღეროებისა და თესლის კონტრაქტაციის შესახებ.

**დადგენილება ამიერკავკასიის სახალხო სამეურნეო აღრიცხვის
სამმართველოში.**

- 64. მომუშავეთა რაოდენობისა და 1934 წლის მარტის სამუშაო ზეღფასის ფონდების ერთდროული აღრიცხვის ჩატარების წესის შესახებ.

**დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი
და სრულიად საქავშირო კომუნისტური პარტიის (ბ)
ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა.**

48. კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ 1934 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

„კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ 1934 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა, მხეთქვრიჯას, ბრინჯისა და კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსი და სრულიად საქავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. თებერვლის 10 ის დადგენილების შესაბამისად — ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საქავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ადგენენ:

1. შენარჩუნებულ იქნეს 1934 წელს მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებისათვის გაუდიდებლად 1933 წელს მოიქმედი რესპუბლიკანური საშუალო ნორმები და აგრეთვე წესი და ვადები კოლექტიური მეურნეობების, კოლმეურნეების და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარებისა.

2. შემცირებულ იქნეს აზერბაიჯანის სსრ-ში ბრინჯის ჩაბარების რესპუბლიკანური საშუალო ნორმები 1933 წელს მოიქმედ ნორმებთან შედარებით და დაწესებულ იქნეს 1934 წელს აზერბაიჯანის სსრ-ში ბრინჯის ჩაბარების შემდეგი საშუალო ნორმები თესვის გეგმის თვითეულ ჰექტარზე: იმ კოლექტიური მეურნეობებისათვის, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწყვენ, — 4,0 ცენტნერი და იმ კოლექტიური მეურნეობებისათვის, რომელთაც ეს სადგურები მომსახურეობას არ უწყვენ, — 4,5 ცენტნერი.



3. მიენდოს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და პარტიულ ცენტრალურ კომიტეტებს — მიიღონ აღსრულებისათვის და გამოაქვეყნონ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის მიერ დამტკიცებული, კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და ბრინჯის ჩაბარების რაიონობითი ნორმები ისეთი ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს რესპუბლიკებისათვის განსაზღვრული რაოდენობით მარცვლეულის და ბრინჯის ჩაბარების გეგმის საფუძველზე აღსრულება და დაცულ იქნეს მარცვლეულის და ბრინჯის ჩაბარების საშუალო რესპუბლიკანური ნორმები (ჰექტარზე) მთლიანად.

4. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და პარტიულ ცენტრალურ კომიტეტებს, მათი პასუხისმგებლობით, დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებულთ — ჩააბარონ არა უგვიანეს 1934 წ. აპრილის 1-სა კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ მეურნეობებს სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და ბრინჯის ჩაბარების ვალდებულებანი, ამ ვალდებულებათა აღსრულების ვადების აღნიშვნით.

5. აიკრძალოს კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის მარცვლეულის და ბრინჯის ჩაბარების სხვა რაიმე ვალდებულების მიცემა, გარდა ამა დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებებისა.

6. კვლავ დადასტურებულ იქნეს, რომ კოლექტიური მეურნეობანი და ინდივიდუალური მეურნეობანი აბარებენ სახელმწიფოს სავალდებულო წესით მარცვლეულსა და ბრინჯს მხოლოდ იმ ფართობებიდან, რაც განსაზღვრულია მათთვის საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვის ვაგემებით. ამ გეგმის ზედმეტად კოლექტიური მეურნეობისა თუ ინდივიდუალური მეურნეობის მიერ დათესილი ფართობებიდან სახელმწიფოსათვის მარცვლეულის და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარება არა სწარმოებს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

სრულიად საკავშირო კომუნისტური
პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო
კომიტეტის მდივანი **ლ. ბერია.**

1934 წ. თებერვლის 28.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 54 №-ში 1934 წ. მარტის 4-ს.

49. კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ 1934 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

„კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ 1934 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა, მზუჭურიტას, ბრინჯისა და კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსი და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. თებერვლის 10 ის დადგენილების შესაბამისად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ადგენენ:

1. მარცვლეულის კულტურების ჩაბარებისათვის დადგენილი წესი გავრცელებულ იქნეს კარტოფილზე და კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის, ნაცვლად არსებული სახელმწიფოებო (საკონტრაქტაციო) სისტემისა, დაწესებულ იქნეს სახელმწიფოსათვის კარტოფილის დადგენილ სახელმწიფო ფასად ჩაბარების მტკიცე, გადასახადის ძალის მქონე, ვალდებულებანი.

2. დამტკიცებულ იქნეს კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის შემდეგი საშუალო—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიმართ—ნორმები სახელმწიფოსათვის 1934 წლის მოსავლის კარტოფილის ჩაბარებისა, კარტოფილის თესვის გეგმის თვითეულ ჰექტარზე გამოანგარიშებით ((ენტენრობით):

რესპუბლიკების	კოლმეურნეობანი, რომელთაც მომსახურეობას სამანქ.-სატრაქ. სადგურები უწევენ.	კოლმეურნეობანი, რომელთაც სამანქ.-სატრაქ. სადგურ. მომსახურ. არ უწევენ.	კოლმეურნეობათა არაგანსაზოგადოებული ნათესები.	ინდივიდუალური მეურნეობანი
აზერბაიჯანის სსრ	5	7	8	10
სომხეთის სსრ	6	8	9	11
საქართველოს სსრ	5,5	7,5	8,5	10,5

3. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და პარტიულ ცენტრალურ კომიტეტებს—ამა დადგენილების მე-2 მრხლის შესაბამისად, დააწესონ და, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებით, გამოაქვეყნონ 1934 წ. მარტის 5-დ კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების რაიონობითი ნორმები, თვითეული რესპუბლიკისათვის დადგენილი ნორმების აწვე-დაწვევით, ხოლო ისე-კი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს რესპუბლიკისათვის განსაზღვრულა რაოდენობით კარტოფილის ჩაბარების გეგმის სავსებით აღსრულება და რომ

კარტოფილის ჩაბარების საშუალო რესპუბლიკანური ნორმა—მთლიანად—ნაკლები არა იყოს ამ დადგენილების მე-2 მუხლით დაწესებულ ნორმაზე, რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისა და პარტიული ცენტრალური კომიტეტების მიერ დაწესებული რაიონობითი ნორმები სავალდებულოა უწყებელი რაიონისათვის და მათი შეცვლა არ შეიძლება.

4. დაწესებულ აქნეს შემდეგი საკალენდრო ვადები კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების წლიურ ვალდებულებათა შესრულებისა საპექტარო ნორმების პროცენტობით:

	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი, ოქტომბერი	ნოემბერი	
აზერბაიჯანის სსრ	—	—	25	60	15
სომხეთის სსრ	—	—	15	65	20
საქართველოს სსრ	3	5	15	45	32.

5. კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ ამა დადგენილებით მათთვის განსაზღვრულ ვალდებულებათა შესრულების ანგარიშში მიიღება მხოლოდ კარგი თვისების კარტოფილი (მშრალი, სუფთა—მიწაშემოცილი, სალი); სველი, დაავადებული, შექანიკურად დაზიანებული და დამძრალი კარტოფილის ჩაბარება არ ჩაეთვლება კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ მეურნეობებს ვალდებულებათა აღსრულებად.

6. იმ კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც არ შეასრულებს თავის ვალდებულებას სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარებისას ამა დადგენილებით განსაზღვრულ საკალენდრო ვადაზე, დაედება სასოფლო საბჭოს მეშვეობით ფულადი ჯარიმა ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის საბაზრო ღირებულების რაოდენობით და, ამის გარდა, მოეთხოვება ვადამდე შეასრულოს მთელი წლიური ვალდებულება, რაც მას გადაჰხდება უდავო წესით.

ის ინდივიდუალური მეურნეობა, რომელიც არ შეასრულებს თავის ვალდებულებას სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარებისას ამა დადგენილებით განსაზღვრულ ვადაზე, მიიცემა მკაცრ პასუხისკებაში სასამართლო წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების თანახმად (რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის შესაბამისად),

7. ამა დადგენილებით განსაზღვრული, სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების ვალდებულების შესრულება საპირველი მოვალეობაა თვითეული კოლექტიური მეურნეობისა და ინდივიდუალური მეურნეობისა და კარტოფილი ჩაბარებულ უნდა იქნეს თავდაპირველად აღებული მოსავლიდან.

დაწესებულ იქნეს, რომ კარტოფილის თავისუფალი ვაჭრობის ნებართვა შეიძლება გაიცეს მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც ამა თუ იმ რესპუბლიკაში კარტოფილის დამზადების გეგმა შესრულებული იქნება მთლიანად და სათესლე ფონდები მთლად დაგროვილი.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და პარტიულ ცენტრალურ კომიტეტებს—დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—ჩააბარონ არა უგვიანეს 1934 წ. აპრილის 1-სა კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ მეურნეობებს სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების ვალდებულება, ამ ვალდებულებათა აღსრულების ვადების აღნიშვნით.

9. აიკრძალოს კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის კარტოფილის ჩაბარების სხვა რაიმე ვალდებულების დაკისრება, გარდა იმ ვალდებულებათა, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების მე-8 მუხლით.

მთელი ზედმეტი კარტოფილი, რაც დარჩება სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების შემდეგ, რჩება კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეობების სრულ განკარგულებაში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსხაგვაძე.

სრულიად საკავშირო კომუნისტური

პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო

კომიტეტის მდივანი ლ. ბერია.

1934 წ. თებერვლის 28.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 54 №-ში 1934 წ. მარტის 4 ს.

**დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოსი.**

50. ა/კსფსრ ქალაქების და დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის პროექტების შედგენის და დამტკიცების შესახებ.

„სსრკ-ის ქალაქებისა და სხვა დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის პროექტების შედგენის და დამტკიცების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 27-ის დადგენილების თანახმად (სსრკ-ის კრ. 1933 წ. 41 №-ი, მუხ. 243)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ ფარგლებში სარაიონო დაგეგმვის სქემები, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენამდე, განიხილება ა/კსფსრ

სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის წარდგენით და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნით.

დასახლებული ადგილების დაგეგმვის პროექტებს ამტკიცებენ:

ა) იმ დასახლებული ადგილებისა, სადაც ნავარაუდები მოსახლეობის რიცხვი 20 ათას კაცამდეა—ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, ზოლო იქ, სადაც ასეთი დაყოფა არ არსებობს,—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, ამ რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის წარდგენით და სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნით;

ბ) იმ დასახლებული ადგილებისა, სადაც ნავარაუდები მოსახლეობის რიცხვი 20 ათასიდან 50 ათას კაცამდეა,—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, ამ რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის წარდგენით და სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნით;

გ) იმ ძველი დასახლებული ადგილებისა, სადაც ნავარაუდები მოსახლეობის რიცხვი 50 ათასიდან 300 ათას კაცამდეა, და იმ ქალაქებისა, რომლებიც ახლად შენდება და სადაც ნავარაუდები მოსახლეობის რიცხვი 50 ათასიდან 100 ათას კაცამდეა—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენით და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნით;

დ) იმ რეკონსტრუირებულ ქალაქებისა, სადაც ნავარაუდები მოსახლეობის რიცხვი 300 ათას კაცზე მეტია, და იმ ქალაქებისა, რომლებიც ახლად შენდება და სადაც ნავარაუდები მოსახლეობის რიცხვი 100 ათას კაცზე მეტია, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭო, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენით.

2. რკინის გზისა და წყლის ტრანსპორტის მიწებზე მდებარე დაბების დაგეგმვის პროექტებს ამტკიცებენ გზათა სახალხო კომისარიატისა და წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის ორგანოები იმ რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, რომლის ტერიტორიაზედაც დაბის დაგეგმვა სწარმოებს.

3. ახალ სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა მშენებლობისათვის ან არსებულთა გაფართოებისათვის ადგილის არჩევა უნდა მოხდეს ერთსა და იმავე დროს ამ საწარმოთათვის მომსახურეობის გამწევი ქალაქებისა და დაბების მოსაწყობად ადგილის არჩევასთან და სარაიონო დაგეგმვის დამტკიცებულ სქემის შესაბამისად.

უკეთეს ასეთი სქემა არ არსებობს, მშენებლობის ადგილი აუცილებლად შეთანხმებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან.

4. ა/კსფსრ ტერიტორიაზე ქალაქებისა და სხვა დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის საერთო ხელმძღვანელო-

ბას ანხორციელებს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია, სსრკ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კომუნალური მეურნეობის საქმეთა სრულიად საკავშირო საბჭოს დირექტივებით და შითითებით.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემაჯავალი თვითეული რესპუბლიკის ფარგლებში ხელმძღვანელობას, კონტროლს და მეთვალყურეობას საგეგმო სამუშაოების წარმოებისათვის და ქალაქების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს დაგეგმვის დამტკიცებელი პროექტების ზედმიწევნით შესრულებისათვის ანხორციელებს სათანადო რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, იმისდამიუხედავად, თუ როგორი უწყება, დაწესებულება და ორგანიზაცია აწარმოებს აღნიშნულ სამუშაოებსა და მშენებლობას.

6. სარაიონო დაგეგმვის დამტკიცებელი სქემისა და დასახლებული ადგილის დაგეგმვის დამტკიცებელი პროექტის შეცვლა შეიძლება მხოლოდ იმ ორგანოების ნებართვით, რომელთაც დაამტკიცეს ეს სქემა და პროექტი.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. მარტიკიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსახეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1934 წ. თებერვლის 27.

ტფილისი.

51. პერსონალური პენსიების დებულების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 დეკემბრის 16-ის დადგენილებით დამტკიცებული პერსონალური პენსიების დებულების მე-17 მუხლი (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 2) შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„17. განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დასანიშნი პერსონალური პენსიის რაოდენობა განისაზღვრება თვითეულ ცალკე შემთხვევაში იმის მიხედვით, თუ რამდენად აქვს მას დაკარგული შრომაუნარიანობა, რამდენი პირია მის რჩენაზე და აგრეთვე რა ჩვეულებრივი სამუშაო საშოვარი ჰქონდა მას შრომაუნარიანობის დაკარ-



გვის მომენტამდე. ამასთანავე, პერსონალური პენსია, როგორც საერთო წესი, არ უნდა აღემატებოდეს 500 მან. თვითურად.

პენსიის გარდა, პერსონალურ პენსიონერს ეძლევა ყოველწლიურად, მისი სურვილისამებრ განცხადებულ ვადაზე, ერთდროული დახმარება პენსიის თვითური განაკვეთის რაოდენობით“

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. მარტიკიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსხაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრაი.**

1934 წ. თებერვლის 27.

ტფილისი.

52. ა/კსფსრ-ის 1934 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსაგან დადასტურებული ა/კსფსრ 1934 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნეს.

ა. სახალხო-სამეურნეო გეგმის ხაზით.

1. მრეწველობა.

1. ა/კსფსრ მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა 1934 წლისთვის, 1933 წელთან შედარებით, განისაზღვროს 21,9 პროცენტით; აქედან: წარმოების საშუალებათა მწარმოებელი მრეწველობის ხაზით—22,2 პროც. და მოხმარების საშუალებათა მწარმოებელი მრეწველობის ხაზით—21,2 პროც.

2. განისაზღვროს 1934 წლისთვის შემდეგი საწარმოო დავალებანი ა/კსფსრ მრეწველობის უელრესი მნიშვნელობის მქონე დარგების ხაზით:

ელექტროენერჯის გამომუშავება 1.406.200.000 კილოვ. საათი.
ნედლი ნავთის (ჰაირითურთ) ამოღება . . . 22.050.000 ტონა.

ქვანახშირის ამოღება	425.000	„
შავიქვის მადნის ამოღება	850.000	„
ფერრო მარგანცის გამოშვება	22.000	„
სპილენძის გამოდნობა	5.134	„
ლითონდამუშავება	35.640.000	მან.
მსუბუქი მრეწველობა	238.400.000	„
ბამბის ნედლეულის გამომუშავება	48.700.000	მეტრი
მატყლის ქსოვილები	1.754.700	„
ფეხსაცმელი	2.000.000	წყვილი
საჭამადო მრეწველობა	201.500.000	მან.
სატყეო მრეწველობა	40.300.000	„

3. უზრუნველყოფილ იქნეს 1934 წელს ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გაშლა და იმ საქონლის ხარისხის აღმავლობა, რასაც აწარმოებენ როგორც მიმზე, მსუბუქი და საჭამადო მრეწველობის სხვადასხვა დარგები, ისე განსაკუთრებით, ადგილობრივი რესპუბლიკანური მრეწველობის დარგები.

4. განისაზღვროს 1934 წელს შრომის ნაყოფიერების ზრდა მთლად ა/კსტსრ მრეწველობაში, შედარებით 1933 წლის საშუალო წლიურ ნაყოფიერებასთან, 14,0 პროცენტის რაოდენობით (უწინააღმდეგოდ), ხოლო რესპუბლიკანურ მრეწველობაში—11,5 პროცენტის რაოდენობით; აქედან:

მიმზე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსტსრ-ში) ხაზით—18,6 პროც.;

ა/კსტსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—9,3 პროც.;

ა/კსტსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის ხაზით—10,9 პროც.;

5. განისაზღვროს 1934 წელს ა/კსტსრ მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, შედარებით 1933 წლის საშუალო წლიურ შემცირებასთან, 3,65 პროცენტით; აქედან:

მიმზე მრეწველობის სახალხო კომისარიატის (რესპ.) ხაზით—8,9 პროც.;

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—2,7 პროც.;

მომარაგების სახალხო კომისარიატის ხაზით—0,3 პროც..

თვითღირებულების შემცირება ტრანსპორტის ხაზით (1 ტონა-კილომ. გადაზიდვის თვითღირებულება) და ა/კსტსრ წმინდა მშენებლობის ხაზით განისაზღვროს 1934 წელს:

ტრანსპორტის ხაზით—5,0 პროც.;

მშენებლობის ხაზით—15,0 პროც.

6. ა/კსტსრ მთელი მრეწველობის ხაზით კაპიტალური სამუშაოების საერთო მოცულობა (ელექტრომშენებლობის ჩართვით) განისაზღვროს 1934 წელს 650 მილიონი მანეთით, წინააღმდეგ 464,6 მილ. მანეთისა, რაც 1933 წელს იყო; აქედან ა/კსტსრ ნავთის მრეწველობის კაპიტალური სამუშაოების მოცულობა განისაზღვროს 280,24 მილ. მან., საიდანაც „აზნავთისა“—270,0 მილ. მან. და „საქნავთისა“—10,24 მილ. მან.

ა/კსფსრ ელექტროფიკაციის ხაზით კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1934 წელს განისაზღვროს 116,4 მილიონი მანეთით, საიდანაც—105,2 მილიონი მან. სარაიონო ელექტრომშენებლობისათვის.

გათვალისწინებულ იქნეს 1934 წელს ა/კსფსრ ელექტროსადგურებზე ახალი ძალოენების ექსპლოატაციის დაწყება 70 ათასი კილოვ. მოცულობით და ამით 1934 წლის ბოლოს ყველა ელექტროსადგურის საერთო დადგენილი ძალოენება მიღწევიანებულ იქნეს 361,89 ათას კილოვატამდე; აქედან სარაიონო სადგურებზე—286,40 ათას კილოვატამდე.

ა/კსფსრ ქვანახშირის მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1934 წელს განისაზღვროს 20.750 ათასი მანეთით, საიდანაც—16.250 ათასი მან. ტყვარჩელის ქვანახშირის მალარობის მშენებლობისათვის. 1934 წლის კაპიტალური სამუშაოების მოცულობა შავიქვის ხაზით განისაზღვროს 11.500 ათასი მანეთით, ხოლო ფერრო-მარგანეცის ქარხნის ხაზით—6.280 ათასი მანეთით.

ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის კაპიტალური სამუშაოების მოცულობა 1934 წელს დამტკიცებულ იქნეს 41.500 ათასი მან. რაოდენობით, წინააღმდეგ 18.100 ათასი მანეთისა, რაც 1933 წელს იყო.

ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის საქამადო მრეწველობის კაპიტალური სამუშაოების მოცულობა (სოფლის მრეწველობის გარდა) განისაზღვროს 30.000 ათასი მანეთით, წინააღმდეგ 1933 წელს აღსრულებული 26.100 ათასი მანეთის სამუშაოებისა.

კაპიტალური მშენებლობის გეგვა სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) სისტემის ხაზით გათვალისწინებულ იქნეს 1934 წელს 13.500 ათასი მან. მოცულობით.

II. სოფლის მეურნეობა.

1. ნათესი ფართობების საერთო ოდენობა ა/კსფსრ-ში 1934 წლის მოსავლისათვის განისაზღვროს 2.422,65 ათასი ჰექტარით.

განისაზღვროს ა/კსფსრ ნათესი ფართობების შემდეგი განაწილება 1934 წელს:

ხორბალი—973,6 ათასი ჰექტ.

ბამბა—216,15 ათასი ჰექტ.

აქედან ეგვიპტური ბამბა—41,5 ჰექტ.

თამბაქო—24,96 ათასი ჰექტ.

შაქრის ჭარხალი—5,26 ათასი ჰექტ.

სელი—15,25 ათასი ჰექტ.

საბჭოთა მეურნეობების ფართობთა ოდენობა განისაზღვროს 161,65 ათასი ჰექტარით; აქედან სავაზაფხულო—102,30 ათასი ჰექტ.

სავაზაფხულო ნათესის ფართობი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ხაზით განისაზღვროს 409 ათასი ჰექტარით ოდენობით; ამასთანავე სამანქანო ატრაქტორო სადგურების საერთო რიცხვი ა/კსფსრ-ის ფარგლებში 1934 წლი



ბოლოსთვის მიღწევიანებულ იქნეს 82-მდე—42.009 ცხენის ძალის სატრაქტორო პარკის ძალოვნებით.

გაშენებულ იქნეს 1934 წელს მრავალწლოვან ნარგავთა ახალი ფართობები და 1934 წლის განმავლობაში იგი მიღწევიანებულ იქნეს: ბაღები—55,30 ათას ჰექტ., ვენახები—72,65 ათას ჰექტ., ჩაის პლანტაციები—34,78 ათას ჰექტ. და ციტრუსების პლანტაციები—2,80 ათას ჰექტ..

2. განისაზღვროს 1334 წლისთვის მთავარი კულტურების მოსავლიანობის სფეროში შემდეგი დავალებანი (ცენტნერობით ჰექტარზე):

	აზ. სსრ	სომხ. სსრ	საქ. სსრ
ნედლი ბამბა	7,5	6,7	6,0
თამბაქო	8,5	8,0	9,0
შაქრის ჭარხალი	—	90,0	100,0

3. ა/კსფსრ სასოფლო მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა განისაზღვროს 1934 წელს 201.536,4 ათასი მანეთით; აქედან: ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ხაზით—134,426 ათასი მან. და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის სისტემის ხაზით—7.310.0 ათასი მან.

III. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

1. 1934 წელს ტვირთბრუნვის რაოდენობა ამიერკავკასიის რკინის გზებზე განისაზღვროს 10,4 მილ. ტონათი; საშუალო სადღეღამეო დატვირთვა განისაზღვროს 2.480 ვაგონის რაოდენობით.

1934 წელს ა/კსფსრ წყლის ტრანსპორტით გადაყვან გადაზიდვის მოცულობა განისაზღვროს: შინაგან წყლის ტრანსპორტზე—256,4 ათას ტონნათი და ზღვის ტრანსპორტზე—18,901,5 ათასი ტონნათი.

2. ამიერკავკასიის რკინისგზების კაპიტალური სამუშაოების გეგმა 1934 წლისთვის დამტკიცებულ იქნეს 98,0 მილიონ მან. რაოდენობით.

3. ა/კსფსრ წყლის ტრანსპორტის კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 1934 წელს განისაზღვროს 31,0 მილიონი მანეთით; აქედან: საპორტო მშენებლობა—29.242 ათასი მან. და სამდინარეო ტრანსპორტისა—მდინ. მტკვარსა და რიონზე და სევანის ტბაზე—1.745 ათასი მან.

4. ა/კსფსრ ავტოგზის ტრანსპ. და ავიოტრანსპორტის კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 1934 წლისთვის განისაზღვროს 35,0 მილიონი მანეთით.

5. ა/კსფსრ კავშირგაბმულობის კაპიტალური სამუშაოების მოცულობა 1934 წლისთვის განისაზღვროს 11,9 მილიონი მანეთით, წინააღმდეგ 8,5 მილიონ მანეთისა, რაც 1933 წელს იყო.

IV. კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

1. ა/კსფსრ კომუნალური და საბინაო მეურნეობის კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობა 1934 წლისთვის განისაზღვროს 147,05 მილიონი მანეთით; აქედან: კომუნალური მეურნეობისა—82,10 მილ. მანეთ. და კაპიტალური დაბანდებანი საქალაქო და სამრეწველო ბინათმშენებლობაში—64,95 მილ. მან.

V. საქონელბრუნვა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოება.

1. ფართო მოხმარების საგნების სასაქონლო პროდუქციის რაოდენობა განისაზღვროს სახელმწიფო და კოოპერატიული მრეწველობის ხაზით 650,7 მილიონი მანეთით, რაც იძლევა 20,3 პროცენტით ზრდას 1933 წელთან შედარებით.

2. გადიდებულ იქნეს 1934 წელს სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ცალობითი საქონელბრუნვის რაოდენობა 1933 წელთან შედარებით 19,0 პროცენტით; აქედან: ქალაქის ხაზით—18,0 პროც., ხოლო სოფლის ხაზით—19,2 პროც..

3 ა/კსფსრ საქონელგამტარებელი ქსელი მიღწევიანებულ იქნეს 15.373 ერთეულამდე; გათვალისწინებულ იქნეს არანორმირებული სახელმწიფო ვაჭრობის ცალობითი ფასების შემცირება და გადიდებულ იქნეს ა/კსფსრ მრეწველობის უაღრესი მნიშვნელობის მქონე დარგების მუშათა საზოგადოებრივი კვებით მოცვა

VI. შრომა, კადრები და კულტურა.

1. ა/კსფსრ მთელი სახალხო მეურნეობისა, მმართველობისა და კულტურული მშენებლობის სფეროში მოსაქმე მუშათა და მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა განისაზღვროს 878,2 ათასი კაცით; მათ შორის:

მთელი მრეწველობის მუშები და მოსამსახურეები—194,3 ათასი კაცი;

ტრანსპორტის მუშები და მოსამსახურეები—96,4 ათასი კაცი;

სასოფლო და სატყეო მეურნეობის მუშები და მოსამსახურეები—117,9 ათასი კაცი;

მშენებლობაში მოსაქმე მუშები და მოსამსახურეები—135,8 ათასი კაცი.

2. მთლად სახალხო მეურნეობისა, მმართველობისა და კულტურული მშენებლობის სფეროში სამუშაო ხელუასის ფონდი განისაზღვროს 1.610,2 მილიონი მანეთით, წინააღმდეგ 1.443,1 მილიონი მანეთისა, რაც 1933 წელს იყო.

3. ა/კსფსრ მოსახლეობის საზოგადოებრივ კულტურულ საქმიანობათათვის გასაწევი ხარჯების საერთო მოცულობა განისაზღვროს 168,6 მილიონი მანეთით, რაც შეადგენს 128,9 პროცენტს 1933 წლის ხარჯებთან შედარებით.

4. ა/კსფსრ სასწავლებლებიდან გამოსაშვებ კურსდამთავრებულთა კონტინგენტები განისაზღვროს შემდეგი რიცხვით: უმაღლესი სასწავლებლებიდან—1.352 კაცი, ტექნიკუმიებიდან—7.060 კაცი და მუშათა ფაკულტეტებიდან 1.875 კაცი.

VII. კაპიტალური მშენებლობის საერთო მოცულობა და სახალხო შემოსავალი.

1. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის კაპიტალურ სამუშაოთა საერთო მოცულობა განისაზღვროს 1.223,7 მილიონი მანეთით, წინააღმდეგ 874,0 მილიონი მანეთისა, რაც 1933 წელს იყო.

2. ა/კუსსრ სახალხო შემოსავალი 1934 წლისთვის განისაზღვროს 2.557,1 მილიონი მანეთით— ისეთი ვარაუდით, რომ მეურნეობის სოციალისტური ფორმების წონაკუთრი შეადგენდეს ამ რიცხვში 90,3 პროც..

ბ. პართიანი სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით.

I.

1. ა/კუსსრ 1934 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი განისაზღვროს 521.466 ათასი მანეთის საბალანსო თანხით, ცალკეულ ბიუჯეტებზე შემდეგი განაწილებით.

ფედერატიული ბიუჯეტი	60.428 ათასი მან.;
აზერბაიჯანის სსრ ბიუჯეტი	170.194 " "
სომხეთის სსრ ბიუჯეტი	82.209 " "
საქართველოს სსრ ბიუჯეტი	208.635 " "

2. ა/კუსსრ 1934 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავალი, ჯუმლის ძირითადი კარების მიხედვით, მიღებულ იქნეს შემდეგ თანხებად (ათას მანეთობით):

ა) შემოსავალი	ა/კუსსრ	ფედერ. ბიუჯ.	აზ. სსრ	სომხ. სსრ	საქ. სსრ
1. განსაზოგადოებელი სექტორის შემოსავალი	382.296	60.052	111.060	63.341	147,843
2. მოსახლეობის სახსართა მობილიზაცია	136.585	—	58.253	18.457	59.875
3. სხვა შემოსავალი	2.585	376	881	411	917.
სულ შემოსავალი	521.466	60.428	170.194	82.209	208.635.
ბ) გასავალი					
1. სახალხო მეურნეობის დაფინანსება	123.186	4.923	42.978	23.736	51.549.
2. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება	154.713	16.498	46.589	24.016	67.610
3. მმართველობის ხარჯები	37.491	25.662	4.647	2.310	4.872
4. სხვა ხარჯები	24.995	13.345	6.241	1.529	3.980
5. ადგილობრივ ბიუჯეტში გადასაცემი სახსარი	181.081	100	69.739	30.618	80.624
სულ გასავალი	521.466	60.428	170.194	82.209	208.635

3. ბრუნვის გადასახადის ანარიცხებისა და საბიუჯეტო ფასწანამატების საერთო თანხა, სსრკ-ის ცენტრალური აღკასრულებელი კომიტეტის 1934 წ. იანვრის 4-ის დადგენილების შესაბამისად, განისაზღვროს 315.467 ათასი მანეთის რაოდენობით და შემდეგი განაწილებით ფედერატიულ და რესპუბლიკანურ ბიუჯეტებზე:

ფედერატიული ბიუჯეტი	55.563 ათასი მან.
აზერბაიჯანის სსრ ბიუჯეტი	72.847 " "
სომხეთის სსრ	7.160 " "
საქართველოს სსრ	129.877 " "

4. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს—იმის შემდეგ, როდესაც სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭო განსაზღვრავს საკავშირო რესპუბლიკებისათვის ბრუნვის გადასახადის მტკიცე პროცენტულ ანარიცხებს და საბიუჯეტო ფასწანაბრებს, დაამტკიცოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის დიფერენცირებული პროცენტული ანარიცხები ამა დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნული თანხების შესაბამისად.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—განსაზღვრონ რაიონებისა და საქალაქო საბჭოებისათვის ბრუნვის გადასახადის ანარაიცხების მტკიცე პროცენტი, თანახმად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა „რესპუბლიკანური და ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 75 №-ი, მუხ. 506).

5. სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წ. იანვრის 4-ის დადგენილებით დაწესებული სპეციალური ანარიცხები ერთი მან. რაოდენობით თვითიულ ამოღებულ ტონნა ნავთზე (პირის თანხართვით), რაც წელიწადში შეადგენს 22.000 ათას მან., განაწილებულ იქნეს შემდეგნაირად:

ფედერატიულ ბიუჯეტს	4.400 ათასი მან.
აზერბაიჯანის სსრ ბიუჯეტს	17.600 " "

წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, თანახმად სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 2-ის თარიღის და მე-3 №-ის დადგენილებისა „სსრ კავშირის 1934 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადასაცემი სპეციალური სანავთო ანარიცხებიდან დააწესოს ანარიცხის გადადება ბაქოს საბჭოს ბიუჯეტში 70 კაპ. რაოდენობით ერთ ტონნაზე.

6. სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის იმავე დადგენილებით დაწესებული:

ა) სპეციალური ანარიცხები 100 მან. რაოდენობით თვითიულ დამზადებულ ტონნა ბამბის ბოჭკოზე ჩართულ იქნეს სათანადო რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში;

ბ) სპეციალური ანარიცხები 190 მან. რაოდენობით თვითიულ დამზადებულ ტონნა თამბაქოზე ჩართულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში—ისე, რომ შემდგომ სათანადო თანხები გადაეცეს აფხაზეთისა და აჭარის ტანის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებს.

7. ბიუჯეტის ფედერატიული ნაწილიდან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებზე დამატებით გასანაწილებელ თანხებად ცნობილ იქნეს შემდეგი დანიშნულების თანხები:

ა) ბეჭდვითი სიტყვის დაფინანსებისათვის	3.100	ათასი მან.
აქედან კაპიტალდაბანდებათათვის	800	" "
ბ) რადიომაუწყებლობისათვის	735	" "
გ) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათათვის . . .	4.050	" "
აქედან კაპიტალდაბანდებათათვის	300	" "
დ) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კურსების ქსელისათვის	2.100	" "
ს უ ლ	9.985	ათასი მან.

8. ადგილობრივ ბიუჯეტებში გადასადები ანარიცხები, რაც გატარებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების მეშვეობით, დამტკიცებულ იქნეს შემდეგ თანხებად:

ფედერატიული ბიუჯეტით	100	ათასი მან.
აზერბაიჯანის სსრ ბიუჯეტით	69.739	" "
სომხეთის სსრ ბიუჯეტით	30.618	" "
საქართველოს სსრ ბიუჯეტით	80.624	" "
ს უ ლ ა/კსფსრ	181.081	ათასი მან.

II

ა/კსფსრ 1934 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სახალხო კომისართა საბჭოებს, აგრეთვე ყველა აღმასრულებელ კომიტეტს და საბჭოს აუცილებლად უზრუნველჰყონ 1934 წელს:

ა) განსაზოვადოებული მეურნეობის სახსართა დაგროვების პროგრამის განხორციელება იმ დავალების მტკიცედ შესრულების საფუძველზე, რომ გადიდებულ იქნეს შრომის ნაყოფიერება, შემცირებულ იქნეს წარმოებისა და აღმშენებლობის ხარჯები, მაქსიმალურად განვითარდეს ცალკობითი საქონელბრუნვა და ფართოდ მობილიზებულ იქნეს ყველა სამეურნეო ორგანოს შინაგანი რესურსები;

ბ) მტკიცედ დაცვა დადგენილი ფასებისა როგორც ცალკობითს საქონელბრუნვაში, ისე განსაზოვადოებული მეურნეობის შიგნითვე საქონელთა ბრუნვაში;

გ) სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობის შემდგომი გაძლიერება მათ ვალდებულებათა აღსრულებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე (ბრუნვის გადასახადი, მოგების ანარიცხები და სხვა მისთ.); მათ მიერ სასტიკი საბიუჯეტო და საკრედიტო დისციპლინის დაცვა, სამეურნეო ანგარიშის მტკიცე განხორციელება და სახელშეკრულობო დისციპლინის გატარება სამეურნეო ორგანოებს შორის;



დ) მუშაობის შემდგომი გაძლიერება საბიუჯეტო დაწესებულებათა და სა-
მეურნეო-ანგარიშიან ორგანიზაციათა სამმართველო ხარჯების გადაჭრით შემ-
ცირებისათვის; ამასთანავე, არავითარ შემთხვევაში გადიდებულ არ უნდა იქნეს
ამ დაწესებულებათა და ორგანიზაციათათვის კანონით დადგენილი შტატები და
მათი შესანახი ხარჯები.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ
შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომი-
ტეტებსა და სახალხო კომისართა საბჭოებს, აგრეთვე ყველა აღმასრულებელ
კომიტეტს და საბჭოს—უზრუნველჰყონ მუშაობის შემდგომი გაძლიერება და
თვისების გაუმჯობესება სახელმწიფო შემოსავლის ხაზით, კერძოდ—მოსახლეო-
ბის სახსართა მობილიზაციისათვის, როგორც სავალდებულო გადასახადთა ვალ-
ების სფეროში, ისე, განსაკუთრებით, იმ სფეროში, რომ მოსახლეობამ სხვადა-
სხვა ფორმით ნებაყოფლობად მონაწილეობა მიიღოს სოციალისტური მშენებ-
ლობის დაფინანსებაში, რისთვისაც ფართოდ უნდა იქნეს გაშლილი მასური
პოლიტიკური მუშაობა, რათა საფინანსო ორგანოების გარშემო შეიქმნას აქ-
ტივი მუშათა და კოლმეურნეთაგან.

3. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, ა/კსფსრ შედგენილობაში
შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და
სახალხო კომისართა საბჭოებისა და ყველა აღმასრულებელი კომიტეტისა და
საბჭოს უაღრესი მნიშვნელობის მქონე ამოცანად ჩაითვალოს 1934 წელს ყველა
საფინანსო და საკრედიტო დაწესებულების მუშაობისთვის შემდგომი ამა-
ღლება, „მანეთით კონტროლის“ გაძლიერება, საბიუჯეტო და საკრედიტო
დისციპლინისა და რევოლუციონური კანონიერების სასტიკად დაცვა მთლად
საფინანსო მუშაობაში.

4. დაევალოს ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლი-
კების სახალხო კომისართა საბჭოებს—მოსმინონ ხოლმე რეგულარულად საფი-
ნანსო ორგანოებისა და სამეურნეო ორგანოების მოხსენებანი საფინანსო გეგმე-
ბის აღსრულების მსვლელობის შესახებ, განსაკუთრებით როგორც განსაზოგა-
დებულ მუშაობის საბიუჯეტო შემოსავლისა, ისე მოსახლეობის სახსართა
მობილიზაციის ხაზით, და იხმარონ ყოველი ღონისძიება, რათა გეგმით გათვა-
ლისწინებული თანხები თავის დროზე და სავსებით შედიოდეს ბიუჯეტში.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ხ. მარტიკიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრია.**

1934 წ. მარტის 2.

ტფილისი

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 55 №-ში 1934 წ. მარტის 5-ს.

დაღმინილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კავშილიშისა.

53. ა/კსფსრ-ში 1934 წელს საგაზაფხულო თესვის კამპანიის სამზადისის მსვლელობის შესახებ.

მოისმინა—რა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა (ამხ. ზურაბოვი) და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების (ამხ. ალანია) მოხსენებანი ა/კსფსრ-ში 1934 წელს საგაზაფხულო თესვის კამპანიის სამზადისის მსვლელობის შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ, მიუხედავად სრულიად საკაფშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის თავისდროული და ამომწურავი დირექტივებისა საგაზაფხულო თესვის კამპანიის მომზადების და ჩატარების შესახებ, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთელმხარემა ცენტრალურმა და რაიონულმა ორგანოებმა ვერ მოახერხეს უზრუნველყოთ აღნიშნული დირექტივების რეალიზაცია, რის გამოც საგაზაფხულო თესვის კამპანიის სამზადისი არაადაამყოფილებლად მიმდინარეობს.

განსაკუთრებით ჩამორჩენილია: საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენა კოლექტიურ მეურნეობებში, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი, ცოცხალი საწივი ძალის განმზადება, თესლეულის გაწმენდა, აგროწივების შედგენა და კოლექტიური მეურნეობებისა, ბრივადებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის მიწოდება, აგროტექნიკური პროპაგანდა და სხვა მისთ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი განსაკუთრებით აღნიშნავს საბჭოების სუსტ მუშაობას საგაზაფხულო კამპანიის მომზადებისთვის ინდივიდუალურ მეურნეობათა შორის, რომელთაც, ა/კსფსრ სასოფლო მეურნეობის დღევანდელ პირობებში, ჯერ კიდევ თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ, და აგრეთვე ინდივიდუალური სექტორის განსაკუთრებულ ჩამორჩენას სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტისა, ცოცხალი წივივი ძალის განმზადებისა, თესლეულის გაწმენდისა და სხვა მისთ. მხრით.

ზემოაღნიშნულის მიხედვით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. წინააღმდეგ მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—იხმარონ ყოველი ღონისძიება, რათა სავსებით განხორციელებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკაფშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ა/წ. იანვრის 9-ის დადგენილება „1934 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმის შესახებ“ და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ა/წ. იანვრის 10-ის დადგენილება „საშემოდ-

გომო თესვის შედეგებისა და საგაზაფხულო თესვის კამპანიის მომზადების და ჩატარების სფეროში საბჭოების ამოცანების შესახებ“; ამასთანავე, კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

ა) კოლექტიურ მეურნეობებში საგაზაფხულო თესვის საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენისათვის საჭირო სამუშაოების სასწრაფო დამთავრებას და ამ გეგმების თვისების გაუმჯობესებას;

ბ) ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის დაჩქარებას, ადგილებზე სათბობი მასალის შეზიდვისა, განაწილებისა და ეკონომიურად ხარჯვის საქმის მოწესრიგებას, ტარას განმზადებას და სხვა მისთ.;

გ) საგაზაფხულო თესვისათვის მუშა-საქონლის სათანადო განმზადებას, განსაკუთრებით ინდივიდუალურ მეურნეობებში, და ამ საქონლის საკვებით უზრუნველყოფას;

დ) თესლეულის განმედისა და დაწამლვის გეგმების აღსრულებას, განსაკუთრებით მეტად ჩამორჩენილ ინდივიდუალურ სექტორში; აგრეთვე ნაკელის სასუქის შეტანას;

ე) აგროწესების დაუყოვნებლივ შედგენას და სასოფლო საბჭოებისა, კოლექტიურა მეურნეობებისა, ბრიგადებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის მიწოდებას, ამ აგროწესების ფართო გაშუქებას კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა კრებებზე;

ვ) აგროტექნიკური პრობაგანდის გაძლიერებას, თვისების ინსპექციისა და მოსავლიანობის საბჭოების მოწყობას კოლექტიურ მეურნეობებში;

ზ) საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის გასაწევი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს,—საგაზაფხულო თესვის სამზადისის საქმეში მკვეთრი გარდატეხის შექმნის მიზნით,—დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გააძლიერონ საბჭოების მასური მუშაობა საგაზაფხულო თესვის ვარშემო, რისთვისაც ფართო პრაქტიკად შემოიღონ სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებისა და კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეების სარაიონო შეკრებანი, და გაშალონ საგაზაფხულო თესვისათვის საჭირო მუშაობა შრომის სოციალისტური მეთოდების გამოყენების საფუძველზე—დამკვრელობისა და სოციალისტური შეჯიბრებისა—ცალკეულ სასოფლო საბჭოებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და ბრიგადებს შორის და სხვა მისთ.

3. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი მოაგონებს ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და სასოფლო საბჭოს, რომ პასუხისმგებლობა მიმდინარე თესვის კამპანიის მომზადებისა და წარმატებით ჩატარებისათვის ეკისრებათ პროლეტარული დიქტატურის ამ ორგანოებს ადგილებზე და ისინი მოვალენი არიან,—პარტიისა და მთავრობის დირექტივების საფუძველზე და კოლმეურნეთა, მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეთა და სასოფლო-სამეურნეო სპეციალისტთა ფართო მასების აქტიობაზე დაყრდნით, ამასთანავე კულაკური საბოტაჟისა და მავნებლობის წინააღმდეგ ბრძოლის შეუსუს-

ტებლად, — იხმარონ ყოველი ღონისძიება მიმდინარე საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების საქმეში მკვეთრი გარდატეხის შექმნისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. მარტიკიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრაია**

1934 წ. თებერვლის 27.

ტფილისი.

54. ქალ. განჯის სამეურნეო-კულტურული მშენებლობის შესახებ.

მოისმინა-რა განჯის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გამიდ სულთანოვის მოხსენება განჯის საბჭოს სამეურნეო-კულტურული მშენებლობის შესახებ და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების (ამხ. ვ. ხეჩუმიანი) თანამოხსენება, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში აღნიშნავს განჯის საქალაქო საბჭოს განსახლვრულ მიღწევებს სამეურნეო-კულტურული მშენებლობის სფეროში უკანასკნელს წელს, როგორიც არის: ტრამვაისა და წყალსადენის მშენებლობა, ცალკეულ საწარმოთა სამრეწველო-საფინანსო გეგმების აღსრულება და გადაჭარბებით აღსრულება და მუშათა მომარაგების გაუმჯობესება, კულტურულ-საეოფაცხოვრებო მშენებლობის წარმატებანი, სასკოლო ქსელის ფართოდ გაშლა და სწავლებით სასკოლო ასაკის ბავშვთა თვალსაჩინოდ მოცვა, წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მოსახლეობის 92 პროცენტში, საგარეთუნო სასოფლო საბჭოებისათვის სისტემატური ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა, თვალსაჩინო წარმატებანი რაიონის კოლექტივიზაციის საქმეში (88,8%), კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცება, თვალსაჩინო წარმატებანი საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის რაიონის მომზადებაში და სხვა მისთ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში განსაკუთრებით აღნიშნავს საქალაქო საბჭოს მიერ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა გეგმის ვადაძღვე შესრულებას და გადამეტებით შესრულებას (ბამბისა—119,5%, პურეულის ჩაბარებისა—100%, ხორცის გადასახადისა—100%, ხილეულბოსტანეულისა—118%, ფულადი რესურსების მობილიზაციისა—109,7% და სხვ), რისთვისაც რაიონი წარდგენილია საკავშირო წითელ დაფაზე აღსანიშნავად.

ეს წარმატებანი მიღწეულია საბჭოების საორგანიზაციო-მასსური მუშაობის ფართოდ გაშლის საფუძველზე როგორც ქალაქში, ისე სოფლად (სექციებისა და დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის მოწყობა და გაცხოველება).

ამასთან ერთად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს საბინაო-კომუნალური მშენებლობის არასაკმარისად გაშლას, საბინაო ფონდის სრულიად არადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობას, კანალიზაციის მშენებლობის სუსტ ტემპებს, არასაკმარის ღონისძიებათ ქალაქის კეთილმოწყობისა და ანტისანიტარულ მდგომარეობასთან ბრძოლისათვის, სათანადო სადგომებით სკოლების არასაკმარისად უზრუნველყოფას, კულტურულ დაწესებულებათა (კინო, თეატრი და სხვა მისთ.) არასაკმარის ქსელს, სოფლად რადიოქსელის სუსტ მუშაობას და სხვა მისთ.

ზემოხსენებულის მიხედვით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

I. წინადადება მიცეს აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს-დაავალოს განჯის საქალაქო საბჭოს:

1. ვარდაქმნას მთლად თავისი მუშაობა იმ ხაზით, რომ სულ უახლოეს ხანში ლიკვიდირებულ იქნეს საბინაო-კომუნალური მშენებლობის ჩამორჩენა ქალაქის კულტურულ-სამრეწველო ზრდისაგან, კერძოდ:

ა) დაამთავროს 1934 წელს კანალიზაციის საპროექტო საძიებლო სამუშაოები და შეუდგეს მის მშენებლობას ისეთი ვარაუდით, რომ პირველი რიგის სამუშაოები ჩაბარებულ იქნეს საექსპლოატაციოდ 1935 წლის ბოლოს;

ბ) დაამთავროს 1934 წელს ახალი წყალსადენის საპირველრიგო სამუშაოები, უზრუნველჰყოს-არ წყლით განჯის ძირითადი სამრეწველო საწარმონი და გაითვალისწინოს მე-2 ხუთწლედის გეგმაში წყალსადენისა და საქალაქო ქსელის მთლად დამთავრება;

გ) ააჩქაროს ქალაქის კეთილმოწყობის ტემპები, სახელდობრ:

1) მოკირწყლოს 1934 წელს ქუჩები არა ნაკლებ, ვიდრე 60 ათას კვადრატული მეტრის ფართობზე და სისტემატურად აღიდოს მოკირწყვლის პროცენტი—ისეთი ვარაუდით, რომ მოკირწყვლა მიღწევიანებულ იქნეს ხუთწლედის ბოლოსთვის 40—50 პროცენტამდე.

2) გაადიდოს მიმდინარე წელს საზოგადოებრივი სარგებლობის მწვანე ნარგავთა ფართობი ერთი-ხუთად;

3) გააუმჯობესოს ქალაქის სანიტარული მდგომარეობა როგორც საქაპან-ზიდვო ქარავნისა, ისე ავტომანქანებისა და ავტოციისტერნების შექმნით და ჩაბას ქალაქის სანიტარული გაჯანსაღების საქმეში მთლად საბჭოთა საზოგადოებრიობა;

4) დაამთავროს და აამუშაოს 1934 წელს საბინაო-სამრეცხველო კომბინატი;

დ) საქალაქო საბჭოს და საბინაო კოოპერაციის ხაზით საბინაო მშენებლობის გეგმების განხორციელებასთან ერთად დააჩქაროს განჯის რაიონის ტერიტორიაზე მყოფი ყველა ხამეურნეო და სამრეწველო ორგანიზაციის ჩაბმა მუშათა ბინების მშენებლობის საქმეში;

ვ) ქალ. განჯის ძველი საბინაო ფონდის მეტის-მეტად მოძველების გამო, გააძლიეროს მუშაობა როგორც მუნიციპალიზებული სახლებისა, ისე კერძო მესაკუთრეთა სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის და გამოსცეს კერძო მესაკუთრეთათვის, აზერბაიჯანის სსრ კომუნალური მეურნეობის სახლხო კომისარიატთან შეთანხმებით, სათანადო დადგენილება;

ვ) გადაჭრით გააუმჯობესოს მშენებლობის ხარისხი, გააძლიეროს ბრძოლა საშენი მასალის თვითღირებულების მეტი შემცირებისათვის და ადგილობრივი მასალების შემდგომი გამოძებნისა და გამოყენებისათვის, სასტუმროებისა, აბანოებისა და სხვა სახის კომუნალურ საწარმოთა გადაკეთებისა და გაუმჯობესებისათვის;

ზ) განიხილოს ერთი დეკადის ვადაზე გეგმა და გაშალოს კომუნალური მშენებლობა კოლექტიურ მეურნეობებში (კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები, აბანოები, ხიდები, გზები, თეატრები, კინოები, ქოხ-სამკითხველოები და სხვა მისთ.);

თ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ახალი სასკოლო სადგომების მშენებლობას.

ი. კიდევ უფრო ფართოდ გაშალოს სოფლად სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელი (საბავშვო ბაგაები, საბავშვო ბაღები, საბავშვო ბაქნები და სხვ.) და ამასთან ერთად განამტკიცოს ამ დაწესებულებათა მიტერიალური ბაზისი.

პ. გადაჭრით გარდაქმნას საქალაქო საბჭოს მთელი მუშაობა სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მე-XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით, ამხ. კ ა გ ა ნ ო ვ ი ჩ ი ს მთხსენების საფუძველზე, და ყოველი ღონით გააუმჯობესოს საბჭოს მასსური ორგანიზაციების (სექციები და დეპუტატები) მუშაობა.

II. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი პრეზიდიუმს—დაავალოს სათანადო რესპუბლიკანურ ორგანიზაციებს უმოკლეს ვადაზე შეისწავლონ და დასახონ ღონისძიებანი განჯის რაიონის ზემო ზოლში წყალსაცავის აშენებისათვის მინდვრების მოსარწყავად, უზრუნველყოფნა არსებული ქალრიზების რემონტის საქმის ძირითადი გაუმჯობესება და განავრდონ საძიებლო სამუშაოები ახალი ქალრიზების მოსაწყობად.

III. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს:

1. იხმაროს გადამწყვეტი ღონისძიებანი ქალ. განჯის მრეწველობისათვის ენერჯის მიწოდების საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

2. ამა წლის პირველი კვარტალის განმავლობაში მოისმინოს ამიერკავკასიის სათანადო სახალხო კომისარიატების მოხსენებანი ქალ. განჯის ადგილობრივი და რესპუბლიკანური მრეწველობის საწარმოთა მდგომარეობის შესახებ, და დასახოს და განახორციელოს ყველა ღონისძიება ამ საწარმოთა გადაკეთებისა და ჩამორჩენის ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად.

3. აღძრას საკავშირო ორგანოების წინაშე შუამდგომლობა სპეციალისტთა სახლის მშენებლობის უზრუნველყოფის შესახებ.

4. გაითვალისწინოს სახალხო მეურნეობის 1935 წლის საკონტროლო ციფრებში სასტუმროს მშენებლობა.

5. გამოსძებნოს 1934 და 1935 წლების განმავლობაში სახსარი ქ. განჯაში კულტურის სახლის ასაშენებლად.

6. უახლოესი სამი თვის განმავლობაში განიხილოს და საბოლოოდ გადასწყვიტოს შემდეგი საკითხები:

ა) ქალ. განჯაში წითელი არმიის სახლის აშენება;

ბ) სარკინისგზო ხიდის აშენება, რომელმაც უნდა შეუერთოს ქალაქი რკინის გზის ვაკისის მეორე მხარეს;

გ) ტრამვაის ხაზის გაყვანასთან დაკავშირებით განჯის საქალაქო საბჭოსათვის იმ ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის გაწყობილობის გადაცემა, რომელიც უერთებს ქალაქს ვოკჯალს;

დ) ჩირაგიძორის რკინის გზის მშენებლობის გაძლიერება;

ე) სარკინისგზო შტოს გავანა ძეგამის ქვის კარიერებამდე საშენი მასალის ამოღებისათვის.

IV. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს—დაავალოს აზერბაიჯანის სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ცენტრალური საავადმყოფოს მუშაობის დაყენებას და გაუმჯობესებას, კერძოდ—გააუმჯობესოს მისი მომარაგება და აგრეთვე მოახდინოს მისი სადგომის კაპიტალური რემონტი.

V. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას ჩაატაროს პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა განჯის საქალაქო საბჭოს მიერ საგარეთებნო სასოფლო საბჭოებისათვის ხელმძღვანელობის გაწვევისა და ამ სასოფლო საბჭოებში საორგანიზაციო მასსური მუშაობის დაყენების გამოცდილება გადატანილ იქნეს ა/კსფსრ სხვა რაიონებში.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. მარტიკიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1934 წ. თებერვლის 27.

ტფილისი.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

55. ა/კსფსრ-ში მომუშავეთა რაოდენობისა და სამუშაო ხელფასის ფონდების ერთდროული აღრიცხვის ჩატარების შესახებ.

1. „მომუშავეთა რაოდენობისა და სამუშაო ხელფასის ფონდების ერთდროული აღრიცხვის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბ-

ქოს 1934 წ. იანვრის 19-ის დადგენილების შესაბამისად—ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას აძლევს ამიერკავკასიის და რესპუბლიკანურ ყველა უწყებას და ორგანიზაციას (სახელმწიფო, საპროფკავშირო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და სხვ.), ქვემდებარეობის ფორმის დამოუკიდებლად (საკავშირო, ფედერატიული და რესპუბლიკანური), აგრეთვე ყველა სარაიონო ორგანიზაციას—წარუდგინოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებს ცნობები მის ქვემდებარე დაწესებულებასა და საწარმოში მოსაქმე პერსონალის რაოდენობისა და 1934 წლის მარტის სამუშაო ხელფასის ფონდის შესახებ.

2. მიენდოს ა/კსტსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—აცნობოს ხოლმე ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს სახალხო კომისარიატებისა და უწყებების მიერ ამა დადგენილების დარღვევა.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ილიუშინი.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუჯრევი.

1934 წ. თებერვლის 17.

ტფილისი.

56. შეუწყვეტელი მუშაობისათვის ქვედა საფინანსო ორგანოებისა, შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო ბანკის მომუშავეთა სამუშაო ხელფასის პერიოდული მომატების შესახებ.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს 1934 წ. იანვრის 1-დან ქვედა ორგანოებში შეუწყვეტელი მუშაობისათვის სამუშაო ხელფასის პერიოდული მომატება:

ა) საფინანსო ორგანოებისა, შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო ბანკის მომუშავეებისათვის მაღარიით დაავალებულ რაიონებში და სანაპირო ზოლის რაიონებში—ძირითადი ჯამაგირის 20%-ის რაოდენობით თვითუღი სამი წლის შეუწყვეტელი მუშაობისათვის;

ბ) ქვედა საფინანსო ორგანოებისა, შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო ბანკის მომუშავეებისათვის სხვა რაიონებში—ძირითადი ჯამაგირის 15%-ის რაოდენობით თვათუღი სამი წლის შეუწყვეტელი მუშაობისათვის.

2. მომატების რაოდენობა გამოიანგარიშება იმ ჯამაგირის მიხედვით, რასაც მომუშავე იღებს მომატების მიცემის დროისათვის, წინანდელ მომატებათა ჩაუთვლელად.

მომატებათა საერთო რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ჯამაგირის 60%-ს ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული მომუშავეებისათვის და 45%-ს „ბ“ პუნქტში აღნიშნული მომუშავეებისათვის.

3. მომატება შეუწყვეტელი მუშაობისათვის მიეცემა ყველა იმ მომუშავეს, რომელსაც აქვს 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ რაიონებში სამი წლის სამსახურის სტაჟი. დანარჩენ მომუშავეთ მომატება მიეცემათ შეუწყვეტელი მუშაობის სამი წლის გასვლისას.

4. საფინანსო-საშემნახველო სისტემის მომუშავეებისათვის პერიოდულ მომატებათა მისაცემად საჭირო თანხები შეტანილ უნდა იქნეს სათანადო ადგილობრივ ბიუჯეტში და სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამართველოს, სახელმწიფო ბანკის და სახელმწიფო დაზღვევის სამამართველოს ხარჯთაღრიცხვაში.

5. მიაენდოს ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, ა/კსტსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორასთან ერთად, შეიმუშაოს და მიაწოდოს სახელმძღვანელოდ ადგილებს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ა/კსტსრ სახალხო კომისარიათა.

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსტსრ სახალხო კომისარიათა

საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრევი.

1934 წ. თებერვლის 25.

ტფილისი.

57. 1937 წელს თივის მოსავლის აღების კაშპანიის გეგმის შესახებ.

აღინიშნოს, რომ 1933 წლის მოსავლის თივის აღების კაშპანიის გეგმა ამიერკავკასიაში შესრულებულა 100,7%-ით (აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—100%, სომხეთის სსრ-ში—101,4% და საქართველოს სსრ-ში—100,7%), წინააღმდეგ გეგმის 84,4%-ისა, რაც შესრულებული იყო 1932 წელს.

1933 წელს მობოვებულ მიღწევათა განმტკიცებისა და 1934 წელს თივის მოსავლის აღების გეგმის სავსებით შესრულების უზრუნველყოფის მიზნით—ა/კსტსრ სახალხო კომისარიათა საბჭო ადგენს:

1. თივის საერთო ფართობი 1934 წელს ა/კსტსრ-ში ყველა სისტემის ხაზით განისაზღვროს 708.657 ჰექტარით (წინააღმდეგ 670.763 ჰექტარისა, რაც წარსულ წელს იყო) შემდეგი განაწილებით რესპუბლიკებსა, სექტორებსა და თივის სახეებზე:

ბუნებრივი სათიბები:

რესპუბლიკები	სულ	ა ქ ე დ ა ნ				
		მიწათმოქ- სახ. კ-ტის საბჭოთა მეურნეობ.	საბჭ. მე- ურნ. სახ. კ-ტის საბ. მეურნეობ.	კოლექტი- ური მეუ- რნეობ.	ინდივიდუ- ალური მეურნეობ.	სხვა სამე- ურნეო ორგნოებ.
აზერბაიჯანის სსრ . . .	268 253	7.650	11.153	130.000	90.000	29.450
სომხეთის სსრ . . .	214 808	2.025	23.000	73.604	115.099	1.080
საქართველოს სსრ . . .	183.011	12.940	9.431	55.360	36.460	8.820
ა/კსფსრ . . .	€66.072	22.615	43.584	258.964	301.559	39.350

ნ ა თ ე ს ი ბ ა ლ ა ხ ი

რესპუბლიკები	სულ	ა ქ ე დ ა ნ			
		მიწათმოქ- მედ. სახალხო კ-ტის საბ- ჭოთა მეურნ.	საბ. მეურნ. სახ. კ-ტის საბჭოთა მე- ურნეობანი.	კოლექტიური მეურნეობები და ინდივიდ- მეურნეობები.	სხვა სამე- ურნეო ორგანო- ებო.
აზერბაიჯანის სსრ . . .	12.178	3.600	835	5.835	1.911
სომხეთის სსრ	20.757	3.200	618	16.845	94
საქართველოს სსრ . . .	9.650	1.610	850	7.060	130
ა/კსფსრ	42.585	8.410	2.302	29.737	2.135

2. ვინაიდან თივის მოსავლის აღების წინამდგომარე კამპანიის ძირითად ამოცანას შეადგენს სათიბი სანახების მოსავლიანობის გადიდება და როგორც თვისებითი, ისე რაოდენობითი დავალებების შესრულება, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს:

ა) დაამთავრონ 1934 წ. მარტის 20-თავის სათიბი სანახების მიჩენა და მიმაგრება პირველ რიგში სასაქონლო ფერმების მქონე საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებზე, სამეურნეო ორგანიზაციებზე და აგრეთვე ცალკეულ კოლმეურნეებზე და ინდივიდუალურ მეურნეობებზე;

ბ) აკრძალონ საქონლის ძოვება სათიბებში და ჩაატარონ გაზაფხულზე ლონისციბანი სათიბების გაუმჯობესებისათვის (ქვის აკრეფა, ძირკვების ამოგდება, ჭიანჭველის ბუდეების მოთხრა და სხვა მისთ.);

გ) თივის მოსავლის აღებისათვის ოპტიმალური ვადების განსაზღვრის მიზნით — დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რესპუბლიკანურ ტრესტებს — შეიმუშაონ და დაწესონ ორი დეკადის ვადაზე თიბვის ვადები რაიონობით და ზონობით და შეადგინონ ამ ვადების მიხედვით თივის მოსავლის აღების სამუშაოთა საკალენდრო გეგმები;

დ) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის სისტემის ტრესტებს — უზრუნველყონ საბ-

ბოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში თივის მოსავლის აღების კონკრეტული სამუშაო გეგმების შედგენა, რაც დამუშავებულ უნდა იქნეს საწარმოო თათბირებზე, და გაშალონ მასსური ახსნა-განმარტებითი კამპანია თივის თვისებისა და მოსავლიანობის გადიდების ბრძოლისათვის, აგრეთვე თივის მოსავლის აღების დროს დანაკარგებთან ბრძოლისათვის;

ე) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—გადასინჯონ თივის მოსავლის აღების სფეროში შრომის შეფასება და გააზუსტონ იგი, ანგარიშში იმის მიღებით, რომ საჭიროა ნარდად მუშაობაზე გადასვლის სტინულირება თივისა, თივის ზიღვისა და დაზვიინების დამკვერელობით ჩატარებისათვის.

3. წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ა კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს—ანგარიშში მიიღონ წარსული წლის გამოცდილება და იხმარონ ღონისძიებანი თივის მოსავლის თავის დროზე აღებისათვის დაბლობებში და თავიდან აიცილონ ბალახის ზეზღვრომის დროგადასულობა, რაც მოხდა წარსულ წელს მთელ რიგ რაიონებში (შირაქი, ქურდამირის რაიონი და სხვ.).

4. მიღებულ იქნეს ცნობად „სოიუსსელხოზსნაბის“ რწმუნებულის განცხადება, რომ 1934 წლის 1-ლ კვარტალში ამიერკავკასიისათვის სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოყოფილია შემდეგი რადენობის თევამლები ინვენტარი:

	აზ. სსრ	სომხ. სსრ	საქ. სსრ	ა/კფსრ
თივის სათიბი ტრაქტორები .	100	30	50	180
თივის სათიბლები ცხენიანი .	300	100	125	525
ფოცხი ცხენიანი	250	100	125	475.
გვერდოვანი ფოცხი	—	—	—	—

წინადადება მიეცეს ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და „სოიუსსელხოზსნაბის“ რწმუნებულს—გამოითხოვონ სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან ინვენტარის თავის დროზე გამოყოფა ა/წ. მეორე კვარტალისათვის ისეთი ვარაუდით, რომ ეს ინვენტარი შემოზიდულ და რაიონებზე განაწილებულ იქნეს თივის მოსავლის აღების კამპანიის დაწყების წინ (არა უგვიანეს 1934 წ. აპრილის 15-სა).

5. ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა, ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა უნდა შეამოწმონ, რამდენია და რა მდგომარეობაშია თივამლები ინვენტარი, და უზრუნველყონ ამ ინვენტარის რემონტი 1934წ. მაისის 1-თვის.

6. პასუხისმგებლობა ა/კფსრ-ში თივის მოსავლის აღების კამპანიის თავის დროზე და სათანადოდ ჩატარებისათვის დაეკისროს ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარის მოადგილეს ამხ. გ უ მ ე დ ი ნ ს და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კფსრ-ში ამხ. ლ ო ბ ჟ ა ნ ი ძ ე ს.

ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა გამოჰყონ რესპუბლიკებში პასუხისმგებელი პირნი, და პასუხისმგებლობა თივის მოსავლის აღების კამპანიისათვის რაიონებში დაეკისრონ საადგილმამულო განყოფილებათა გამგეებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში—დირექტორებს.

7. ეცნობოს, წინასწარი გაფრთხილების ნიშნად, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ა/კსფსრ 'მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რესპუბლიკანურ რწმუნებულებს, რომ თივის მოსავლის აღების კამპანიის შედეგები შეფასდება როგორც იმით, თუ რამდენად მოცულ იქნება ამ კამპანიით გეგმაში გათვალისწინებული ფართობები, ისე თივის მოსავლიანობისა და თვისებითი მაჩვენებლების მიხედვით.

8. ბუნებრივი სათიბი სანახების მოსავლიანობა განისაზღვროს 1 ჰექტარზე საშუალოდ: აზერბაიჯანის სსრ-ში—10 ცენტრით, სომხეთის სსრ-ში—14 ცენტრით და საქართველოს სსრ-ში—12 ცენტრით.

ნათეს ბალახთა მოსავლიანობა: ერთწლოვანი ბალახისა—10 ცენტრით და მრავალწლოვანი ბალახისა—30 ცენტრით მთლად ამიერკავკასიაში.

9. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რესპუბლიკანურ რწმუნებულებს—სისტემატური მეთვალყურეობა გაუწიონ თივის მოსავლის აღების კამპანიის მსვლელობას და აღრიცხონ იგი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრევი.

1934 წ. მარტის 2.
ტფილისი.

53. 1934 წლის სასილოსო კამპანიის გეგმის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს 1933 წლის სასილოსო კამპანიის გეგმის არაღამაკმაყოფილებლად შესრულებას (საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების სისტემის ხაზით ა/კსფსრ-ში გეგმა შესრულებულია 85,3%-ით, ხოლო სხვა ორგანიზაციებთან ერთად—77,1%-ით), რაც საადგილმამულო ორგანოებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების არაღამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგია.

ვინაიდან ა/კსფსრ პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების საქმეში სილოსს დიდი მნიშვნელობა აქვს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, —1934 წ. სასილოსო გეგმის თავის დროზე და მთლად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით,—ადგენს:

1. განისაზღვროს 1934 წლისთვის დასილოსების შემდეგი გეგმა:

რესპუბლიკები	ს უ ლ ა / კ ს ტ ს რ - შ ი			რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახ. კ-ტის საბჭოთა მეურნეობანი.		
	სასილოსო ნათესი ჰექტარობით.	სილოსის გეგმა ტონნობით	აქედან ველურ-რო მცენარეებისა და ბოს ტენულის ნარ.	სასილოსო ნათესი ჰექტარობით	სილოსის გეგმა ტონნობით	აქედან ველურ-რო მცენარეებისა და ბოს ტენულის ნარ.
აზერბაიჯანის სსრ	3.663	44 085	8.151	53	557	—
სომხეთის სსრ . .	2.625	46.528	19.078	—	—	—
საქართველოს სსრ	3.339	30.580	1.532	90	900	—
ა/კსტსრ	9.627	121.293	28.761	143	1.457	—

რესპუბლიკები	კოლექტი. მეურნეობანი და ინდივიდ. მეურნეობანი.			საბჭ. მეურნ. სახალხო კ-ტის რწმუნებულის საბჭ. მეურნეობანი			სამომხმარებლო კოოპერაციის და სხვ. საბჭ. მეურნეობანი		
	სასილოსო ნათესი ჰექტარობით	აქედან ველური მცენარეების და ბოს ტენულის ნარჩენისა	სილოსის გეგმა ტონნობით	სასილოსო ნათესი ჰექტარობით	სილოსის გეგმა ტონნობით	აქედან ველური მცენარეებისა და ბოს ტენულის ნარჩ.	სასილოსო ნათესი ჰექტარობით	სილოსის გეგმა ტონნობით	აქედან ველური მცენარეების და ბოს ტენულის ნარჩენისა
აზერბაიჯანის სსრ	3.00	38.012	8.000	510	4.335	—	100	1.181	151
სომხეთის სსრ . .	2.000	35.000	15.000	600	11.278	4.078	25	250	—
საქართველოს სსრ	2.700	22.350	—	474	6.680	1.532	75	750	—
ა/კსტსრ	7700	95.362	23.000	1.584	22.293	5.610	200	2 181	151

2. წინადადება მიეცეს ა/კსტსრ შედგენილობაში შევავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ა/კსტსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს:

ა) უზრუნველჰყონ ერთი დეკადის ვადაზე სასილოსო კამპანიის გეგმის მიწვედევინება რაიონებამდე, კოლექტიურ მეურნეობებამდე, საბჭოთა მეურნეობებამდე და ინდივიდუალურ მეურნეობებამდე;

ბ) უზრუნველჰყონ სასილოსო ნათესები თესლით;

გ) უზრუნველჰყონ თვისებითი და რაოდენობითი დავალებების შესრულება და მუშაობას საფუძვლად დაუდგან ბრძოლა სასილოსო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და სასილოსო მასის თვისების გაუმჯობესებისა; ვის—თავის დროზე აკროტექნიკისა და დასილოსების ტექნიკის ხაზით კადრების მომზადებით



მელო განყოფილებათა გამგეებს და საქანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში—დირექტორებს.

6. ა/კსფსრ შედგენილობაში შენავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და მეცხოველეობის რესპუბლიკანურ ტრესტებს—ყოველ დეკადაზე მიაწოდონ ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—კუთენილებისამებრ—ინფორმაცია სასილოსო მშენებლობისა, ძველ სასილოსო დანადგამთა და ინვენტარის რემონტის მსვლელობის შესახებ და აგრეთვე თვით სასილოსო კამპანიის მომზადებისა და ჩატარების მსვლელობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსახეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრევი.

1934 წ. მარტის 2.
ტფილისი.

59. 1934 წლის მოსავლის თივის კონტრაქტაციის (დამზადების) შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ-ში 1934 წლის მოსავლის თივის კონტრაქტაციის (დამზადების) გეგმა განისაზღვროს 50.000 ტონნას რაოდენობით.
2. თივის კონტრაქტაციის (დამზადების) გეგმა რესპუბლიკებისა და სექტორების მიხედვით დამტკიცებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით:

რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ე ბ ი	კოლექტიური მეურნეობანი	ინდივიდუალური მეურ.	ს უ ლ
აზერბაიჯანის სსრ	16.000	5.500	21.500
სომხეთის სსრ	3.000	10.000	13.000
საქართველოს სსრ	4.200	11.300	15.500
ა/კსფსრ	26.200	23.800	50.000.

3. დაევალოს დამზადებათა კომიტეტის რესპუბლიკანურ რწმუნებულებს—განსაზღვრონ, ამა დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, არა უგვიანეს 1934

წლის მარტის 10-ისა, კონტრაქტაციის გეგმა იმ რაიონებისათვის, რომელნიც უზრუნველყოფენ თივის მაქსიმალურად ჩაბარებას სადგურისპირულ (ნავთსაყუდისპირულ) პუნქტებში.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—განსაზღვრონ არა უგვიანეს 1934 წ. მარტის 15-სა კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში თივის კონტრაქტაციის (დამზადების) გეგმები. ამასთან ერთად განსაზღვრონ მტკიცე დავალების სახით თივის ჩაბარება კულაკურ-შედლებული მეურნეობების მიერ.

შენიშვნა. კულაკურ შედლებული მეურნეობებისათვის განსაზღვრული მტკიცე დავალების რაოდენობა არ შედის მე-2 მუხლით დადგენილი კონტრაქტაციის (დამზადების) გეგმაში.

5. რადგანაც შეუძლებელია მთელი გეგმის იმ რაიონებზე განაწილება, რომელნიც უზრუნველყოფენ თივის ჩაბარებას სადგურისპირულ და ნავთსაყუდისპირულ პუნქტებში, საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რათა მიმდინარე წელს დატოვებულ იქნეს მაქსიმალურად 1⁰ მიღებული პუნქტი.

6. განსაზღვრულ იქნეს ა/კსფსრ-ში 59 დამზადებული პუნქტი; აქედან:

რესპუბლიკები	მიღებული	სადგურპ.	სულ
აზერბაიჯანის სსრ	8	24	32
სომხეთის სსრ	6	4	10
საქართველოს სსრ	5	12	17
ა/კსფსრ	19	40	59

7. შენარჩუნებულ იქნეს 1934 წლისთვის 1933 წელს მომქმედი თივის კონტრაქტაციის ჩატარების წესი, სადამზადებლო ფასების რაოდენობა თვისებითი ნიშნების მიხედვით, საბაზისო კონდიციები და აგრეთვე თივის ჩაბარების ვადები.

8. ჩაბარებლების მიერ „ზაგოტზერნოს“ სადგურისპირულ პუნქტებზე თივის მიზადვის რადიუსი განისაზღვროს 30 კილომეტრით. ოცდაათი კილომეტრის ფარგლებს გარეშე მდებარე ადგილებიდან თივის მიზიდვისათვის სასყადელი გაცემულ იქნეს 30 კაბ. რაოდენობით თვითულ კილომეტრცენტნერზე.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, დამზადებათა კომიტეტის რესპუბლიკანურ რწმუნებულებთან და მიწითომოქმედების სახალხო კომისარიატებთან ერთად, გამოარკვიონ საბჭოთა მეურნეობების მთლად ზედმეტი სასაქონლო თივა და დაავალონ მათ ჩაბარონ ეს ზედმეტი თივა „ზაგოტზერნოს“ პუნქტებს.

10. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და „ზაგოტზერნოს“ სისტემას—უზრუნველყონ 1934 წ. თივის საკონტრაქტაციო კამ-



ბანია მასსური ახსნა-განმარტებითი მუშაობით და ფართოდ გამოიყენონ სოფ-
ლად შრომის სოციალისტური მეთოდები (სოცშეჯიბრება და დამკერელობა).

11. წინადადება მიეცეს სსრკ ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებუ-
ლი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს
ა/კსფსრ-ში—შეიმუშაოს, ამა დიდგენილების განსავეითარებლად, დაწვრილებითი
ინსტრუქცია თივის საკონტრაქტაციო კამპანიის ჩატარებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსხაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრევი.

1934 წ. მარტის 2.

ტფიოსი.

60. 1934 წლის მოსავლის ლუფას კონტრაქტაციის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საბჭოთა მეურნეობებში 1934 წლის მოსავლის ლუფას კონტრაქტაციის
გეგმა დამტკიცებულ იქნეს 260 ცენტნერის რაოდენობით—130 ჰექტარი ნათე-
სი ფართობით და ჰექტარზე 2 ცენტნერის ჩაბარების (გაყიდვის) ნორმით; ეს
გეგმა განაწილებულ იქნეს რესპუბლიკებზე შემდეგნაირად:

აზერბაიჯანის სსრ . . . 100 ცენტნერი—50 ჰექტარი ნათესი ფართობით;
საქართველოს სსრ (უაფხაზეთ.) . 160 ცენტნერი—80 ჰექტ. ნათესი ფართობით.

2. აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის მიწათმოქმედების სა-
ხალხო კომისარიატებმა უნდა უზრუნველჰყონ 5 დღის ვადაზე თვითეულ რაიონ-
ში ნათესი ფართობების დაყოფა და დასაკონტრაქტებელი ლუფას რაოდენობის
მიწვდევინება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ (იმ რაიონებში, რო-
მელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწყევენ) და სა-
რაიონო საადგილმამულო ორგანოების მიერ (იმ რაიონებში, რომელთაც სამან-
ქანო-სატრაქტორო სადგურები მომსახურეობას არ უწყევენ) ცალკეულ კოლექ-
ტიურ მეურნეობებამდე—თვითეული კოლექტიური მეურნეობისათვის ლუფას
თესვის საწარმოო გეგმების შედგენით.

დაევალოს „ა/კ. სახელმწიფო ვაჭრობას“—მიიღოს აქტიური მონაწილეო-
ბა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და სარაიონო საადგილმამულო ორგა-
ნოების მუშაობაში ლუფას კონტრაქტაციის გეგმების მიწვდევინებისა და სა-
წარმოო გეგმების შედგენისათვის.

3. აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—უზრუნველჰყონ ლუფას კულტურის სფეროში სპეციალური აგრომომსახურეობის გაწევა და აგრო-საწარმოო ღონისძიებათა ჩატარება რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ შემუშავებული აგროწესების შესაბამისად.

აგროზედამხედველობისა და კონტროლის გაწევა მინდვრის მუშაობის წესიერად ჩატარებისათვის, აგროწესების მდთხოვნათა შესაბამისად, დაევალოს „ა/კ. სახვაჭრობას“.

4. ლუფას კონტრაქტაციის ჩატარება დაეკისროს უშუალოდ „ა/კ. სახვაჭრობას“.

5. კოლექტიური მეურნეობებისათვის მისაცემი ფულადი საკონტრაქტაციო ავანსის რაოდენობა განისაზღვროს 350 მანეთით თვითეულ დაკონტრაქტებულ ცენტერ პროდუქციაზე.

6. ავანსები გაიცეს:

50%-ი ლუფას დათესისათვის;

50%-ი ნათესების მარგვლისა, და მოვლისათვის.

მეორე ავანსი გაიცეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ან სარაიონო საადგილმამულო ორგანოს და „ა/კ. სახვაჭრობის“ მიერ კონტრაქტანტებისაგან ლუფას ფაქტიურად დათესვისა და ნათესის დამუშავების შემოწმების შემდეგ.

7. საკონტრაქტაციო ავანსები და ამ ავანსების პროცენტი უნდა დაიფაროს 1934 წლის მოსავლის ლუფას პროდუქციის ჩაბარების დროს—თვითეული ჩაბარებული პარტიის ნახევარი ღირებულების დაქვრით ავანსის სრულად დაფარვამდე.

8. სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კონტორამ უნდა უზრუნველჰყოს თავის დროზე „ა/კ. სახვაჭრობისათვის“ 91,000 მან. მიცემა კონტრაქტანტების დასაავანსებლად.

9. დაევალოს „ა/კ. სახვაჭრობას“ დაურიგოს კონტრაქტანტებს ანგარიშის ნაღდი გასწორებით ან ავანსის ანგარიშში, არა უგვიანეს, ვიდრე 15 დღით ადრე თესვის დაწყებამდე, წმინდაჯიშიანი სათესლე მასალა ისეთი რაოდენობით, რაც მათ დააკლდებათ.

10. განისაზღვროს კოლექტიური მეურნეობებისათვის პურისა, შაქრისა და აზნის მიცემის შემდეგი ნორმები ანგარიშის ნაღდი გასწორებით სახელმწიფოებრივ ფასად—ჩაბარებულ ერთ ცენტერ ლუფაზე:

კ ი ლ ო გ რ ა მ ო ბ ი თ :

პური	შაქარი	საპონი
250	2,5	1

პური, შაქარი და საპონი გაიცეს: 50%-ი—სამარგვლე სამუშაოების ჩატარებისათვის მე-2 კვარტალში და დანარჩენი 50%-ი—ნედლეულის ფაქტიურად ჩაბარების (გაყიდვის) დროს,



11. წინადადება მიეცეს „ა/კ. სახვაჭრობას“—შეამოწმოს, რამდენად უზრუნველყოფილ არიან კონტრაქტანტები პალოებით და მავთულით და დაავალოს მათ—სავსებით უზრუნველყონ თავიანთი თავი დანაკლი მასალით; ამასთანავე, მათ შეუძლიანთ მავთული შესცვალონ სხვა, მეურნეობაში ქონებული მასალით.

12. დაევალოს „ა/კ. სახვაჭრობას“—გამოჰყოს აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების განკარგულებაში სახსარი აგრო-საწარმოო საშუალებების დასაფინანსებლად 1933 წლისთვის დადგენილი რაოდენობით.

13. ლუფას სადამზადებლო ფასი დატოვებულ იქნეს 1933 წლის ფასების დონეზე, ფრანკო—„ა/კ. სახვაჭრობის“ დამზადებელი პუნქტი, სახელდობრ (კილოგრამობით):

1-ლი ხარისხი	19 მან.
მე-2 " 	13 "
მე-3 " 	8 "

14. ლუფას მთესველების მიერ დაკონტრაქტებული პროდუქციის ჩაბარების ვადები განისაზღვროს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის მიერ დადგენილი ტექნიკური კონდიციების შესაბამისად—1934 წ. ნოემბრის 1-დან 1935 წ. იანვრის 1-დე.

15. ლუფას კონტრაქტაციის დამთავრების ვადად დაინიშნოს 1934 წ. აპრილის 15.

16. ლუფას კონტრაქტაცია უნდა სწარმოებდეს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) მიერ დამტკიცებული ტიპური ხელშეკრულების საფუძველზე.

17. დაევალოს „ა/კ. სახვაჭრობას“—წარუდგინოს ხოლმე სადეკადო ცნობები ლუფას კონტრაქტაციის მსვლელობის შესახებ, დადგენილი ფორმით, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სას.-სამ. პროდ. დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულებს ა/კსფსრ სკს-თან, აზერბაიჯანის სსრ სკს-თან და საქართველოს სსრ სკს-თან.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. მუსახეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრევი.**

1934 წ. მარტის 5.
ტფლისი-

61. „ა/კ. სახვაჭრობისათვის“ აზერბაიჯანის სსრ-ში 1934 წლის მოხალისე ზაფრანის დამზადების გადაცემის შესახებ.

სრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის 1934 წ. თებერვლის 1⁵-ის თარიღისა და 444 №-ის დადგენილების შესაბამისად, ა/კსფსრ სახლხო კომისართა საბჭოს მიერ „1934 წელს ველურ სამკურნალო-სატექნიკო მცენარეულთა ნედლეულის დამზადების კამპანიის მოწყობის შესახებ“ გამოცემული 1934 წ. იანვრის 9-ის დადგენილების ნაწილობრივად შეცვლის მიზნით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აზერბაიჯანის სსრ-ში ზაფრანის დამზადება ამოწლილ იქნეს სამომხმარებლო კოოპერაციის გეგმიდან.
2. ზაფრანის დამზადება კონტრაქტაციის წესით დაეკისროს „ა/კ. სახვაჭრობას“

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსხაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკაჩევი.

1934 წ. მარტის 5.
ტფილისი.

62. 1934 წელს ზაფრანის კონტრაქტაციის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აზერბაიჯანის სსრ კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ შრომით მეურნეობებში ზაფრანის კონტრაქტაციის გეგმა დაშტკიცებულ იქნეს 4,6 ცენტნერის რაოდენობით და თვითეულ ჰექტარზე 3 კილოგრამი პროდუქციის ჩაბარების (გაყიდვის) საშუალო ნორმით.

საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადების დროს კონკრეტიზებულ იქნეს ზაფრანის ჩაბარების ნორმა თვითეული მეურნეობისათვის ნარგავთა ხნის მიხედვით.

2. ზაფრანის კონტრაქტაციის ჩატარება დაეკისროს უშუალოდ „ა/კ. სახვაჭრობას“.

3. განისაზღვროს საკონტრაქტაციო ავანსის საშუალო რაოდენობა წარსული წლების ნარგავთათვის—3.000 მანეთით, ხოლო 1934 წლის ნარგავთათვის—6.000 მანეთით დაკონტრაქტებული პროდუქციის თვითეულ ცენტნერზე.

4. ავანსები გაიცეს:

50%-ი—მარგელისა და კულტივაციისათვის და დანარჩენი 50%-ი—მოსავლის აღებისათვის.

საკონტრაქტაციო ავანსები და ამ ავანსების პროცენტი უნდა დაიფაროს 1934 წლის მოსავლის ზაფრანის პროდუქციის ჩაბარების დროს—თვითეული ჩაბარებული პარტიის ნახევარი ღირებულების დაჭერით ავანსის სრულად დაფარვამდე.

5. 1934 წლის მოსავლის ზაფრანის სადამზადებლო ფასები დატოვებულ იქნეს 1933 წლის ფასების დონეზე—კილოგრამი 180 მან.

6. განისაზღვროს პურისა, შაქრისა და საპნის გაცემის შემდეგი საშუალო ნორმები ანგარიშის ნაღდი გასწორებით სახელმწიფოებრივ ფასად—ჩაბარებულ ერთ ცენტნერ ზაფრანზე (კილოგრამობით).

პური	შაქარი	საპონი
10.000	150	150

პური, შაქარი და საპონი გაიცეს: 50%-ი სავარგულე საქუშაოების ჩატარებისათვის მე-2 კვარტალში და დანარჩენი 50%-ი—ნედლეულას ფაქტიურად ჩაბარების (გაყიდვის) დროს.

7. სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორამ უნდა უზრუნველყოს „ა/კ. სახვაჭრობისათვის“ სახსარის თავის დროზე მიცემა ზაფრანის კონტრაქტანტების დასაავანსებლად.

8. დაევალოს „ა/კ. სახვაჭრობას“—გამოჰყოს აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში სახსარი აგრო-საწარმოო ამუშაოების დასაფინანსებლად 1933 წლისთვის განააზღვრულა რაოდენობით

9. დაევალოს აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს ზაფრანის კულტურის აგროწესები, ხოლო „ა/კ. სახვაჭრობამ“ უნდა დაუზღავნოს ეს წესები რაიონებს საკონტრაქტაციო ტიპურ ხელშეკრულებებთან ერთად.

10. ზაფრანის კონტრაქტაციის დამთავრების ვადად დაინიშნოს 1934 წ. აპრილის 1-ლი.

11. ზაფრანის კონტრაქტაცია უნდა სწარმოებდეს სსრკ-ის სახალხო კომისარიატის საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის (აკსფსრ-ში) მიერ დამტკიცებული ტაპური ხელშეკრულების საფუძველზე.

12. დაევალოს „ა/კ. სახვაჭრობას“ წარუდგინოს ხოლმე სადეკადო ცნობები ზაფრანის კონტრაქტაციის მსვლელობის შესახებ სსრკ-ის სახალხო კომი-

სართა საბჭოსთან არსებული სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთ ა/კსფსრ სკს-თან და აზერბაიჯანის სსრ სკს-თან.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრევევი.

1934 წ. მარტის 5.
ტფლისი.

63. 1934 წლის მოსავლის კენაფისა და ყუბის კანაფის ღეროებისა და თესლის კონტრაქტაციის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განისაზღვროს კენაფისა და ყუბის კანაფის პროდუქციის შემდეგი რაოდენობა, რაც დაკონტრაქტებულ უნდა იქნეს, ჩაბარების საშუალო ნორმით ერთ ჰექტარზე: კენაფის ღეროები—2,4 ტონა და თესლი—1,5 ცენტნერი, ხოლო ყუბის კანაფის ღეროები—2,3 ტონა და თესლი—2 ცენტნერი:

ტონობით

	კენაფი	ყუბის კანაფი
ღეროები	8.400	11.350
თესლი	525	900

2. აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველჰქოს 5 დღის ვადაზე თვითეულ რაიონში კენაფისა და ყუბის კანაფის სათესი ფართობების დაყოფა და დასაკონტრაქტებელი პროდუქციის რაოდენობის მიწვდევინება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ იმ კოლექტიურ მეურნეობებამდე, რომელცათ მომსახურებას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწყვენ, და სარაიონო საადგილმამულო ორგანოების მიერ—იმ კოლექტიურ მეურნეობებამდე, რომელთაც მომსახურებას სამინქანო-სატრაქტორო სადგურები არ უწყვენ, და ინდივიდუალურ შრომითი მეურნეობებამდე—კოლექტიური მეურნეობების საწარმოო გეგმების საფუძველზე, ხოლო ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების ხაზით—სასოფლო საბჭოების მიერ დამოწმებული, ამ მეურნეობების მიწებისა, მუშა-ძალისა და ინვენტარის სიების შესაბამისად.

დაევალოს აზერბაიჯანის ახალი ხრალეული კულტურების ტრესტს — აქტიური მონაწილეობა მიიღოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და სარაიონო სა-ადგილმამულო ორგანოების მუშაობაში საკონტრაქტაციო გეგმების კოლექტიურ მეურნეობებამდე და ინდივიდუალურ მეურნეობებამდე მიწვდენისათვის.

შენიშვნა. კულაკურ მეურნეობებში კენაფისა და ყუბის პროდუქცია არ დაიკონტრაქტება. ამ მეურნეობებს მიეცემათ თვისისა და მთელი პროდუქციის ჩაბარების მტკიცე დავალეზანი.

3. კენაფისა და ყუბის კენაფის პროდუქციის კონტრაქტაციის ჩატარება დაეკისროს აზერბაიჯანის ახალი ხრალეული კულტურების ტრესტს, რომელიც დასდებს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს, თავისი ქვედა ორგანიზაციების (პირველადი დამუშავების ქარხნები) მეშვეობით, უშუალოდ კოლექტიურ მეურნეობებთან და ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებთან.

მოსავლიანობის გადიდების მიზნით საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში ცალკე გაითვალისწინება, რომ კოლექტიურმა მეურნეობებმა და ინდივიდუალურმა მეურნეობებმა უნდა შეასრულონ აგროწესების ყველა მოთხოვნა.

4. დაევალოს აზერბაიჯანის ახალი ხრალეული კულტურების ტრესტს — დაიწყოს დაუყოვნებლივ კენაფისა და ყუბის კენაფის პროდუქციის კონტრაქტაციის კამპანია და დაამთავროს იგი არა უგვიანეს 1934 წ. აპრილის 15-სა.

5. დაევალოს აზერბაიჯანის ახალი ხრალეული კულტურების ტრესტს — უზრუნველჰყოს აგრომომსახურების გაწევა კენაფისა და ყუბის კენაფის დაკონტრაქტებული ნათესებისათვის როგორც კოლექტიურ მეურნეობებსა, ისე ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებში შემდეგი ვარაუდის მიხედვით: ერთი აგრონომი და 3 აგროტექნიკოსი თვითეულ 1.000 ჰექტარ ნათესზე.

წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის ახალი ხრალეული კულტურების ტრესტს — დასდეს „აზბამბატრაქტორცენტრთან“ ლოკალური ხელშეკრულება ყველა იმ მუშაობის ჩატარების შესახებ, რაც და ავშირებელია კენაფისა და ყუბის კენაფის ნათესების განაწილებასთან, ნიადაგის დამუშავებასთან, ნათესის მოვლასთან და პროდუქციის აღებასთან სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ მომსახურება-გასაწევ კოლექტიურ მეურნეობებში.

6. გაითვალისწინებულ იქნეს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში კენაფისა და ყუბის კენაფის დაკონტრაქტებული პროდუქციის აზერბაიჯანის ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის მიმღებ პუნქტებში (პირველადი დამუშავების ქარხნები) ჩაბარების შემდეგი ვადები: კენაფისა და ყუბის კენაფის თესლისა — არა უგვიანეს 1934 წ. ნოემბრის 15-სა, კენაფის და ყუბის კენაფის ჰაეროვან-ხმელი ღეროებისა — არა უგვიანეს 1935 იანვრის 1-სა.

7. 1934 წლის მოსავლის კენაფისა და ყუბის კენაფის ჰაეროვან-ხმელი ღეროების და თესლის სადამზადებლო ფასები დატოვებულ იქნეს 1933 წლის ფასების დონეზე.

განისაზღვროს ყუბის კენაფის ჰაეროვან-ხმელი ღეროების შემდეგი სადამზადებლო ფასები: 1-ლი ხარისხი — 5 მან. ტონაზე, მე-2 ხარისხი — 3 მან. და 3 მან. ტონაზე და ბრაკი — 25 მანეთი ტონაზე.

8. დაევალოს აზერბაიჯანის ახალი ხრალული კულტურების ტრესტს—უზრუნველჰყოს კენაფისა და ყუბის კანაფის მთესველები, რომელნიც აკონტრაქტებენ თავიანთ ნათესებს, თესლით თესვისათვია, მომქმედი ნორმების მიხედვით. თესლის საგასაცემო ფასები დატოვებულ იქნეს 1933 წლის ფასების დონეზე;

თესლისათვის ანგარიში გასწორებულ უნდა იქნეს პირველი ფულადი ავანსის გაცემის დროს.

9. განისაზღვროს ფულადი საკონტრაატაციო ავანსის შემდეგი რაოდენობა (მანეთობით):

	კოლექ. მეურ- ნეობებში	ინდივიდ. მეურ- ნეობებში
ერთი ტონა კენაფის და ყუბის კანაფის ჰაეროვან-ხმელი ღეროები . . .	17,50	15,00
ერთი ცენტნერი კენაფის თესლი . . .	12,00	10,00
ერთი ცენტნერი ყუბის კანაფის თესლი	10,00	8,00

10. ფულადი ავანსი კონტრანქტანტებს მიეცეს შემდეგ ვადებზე:

40 % ი—თესვის წინ (აპრილის 10-დან მაისის 10-მდე პერიოდში);

25 %-ი—მარგვლისა და მორწყვის პერიოდში (ივნისის 15-დან ივლისის 15-დე);

35 %-ი—მოსავლის აღების წინ (სექტემბრის 1).

11. კენაფისა და ყუბის კანაფის პროდუქციის კონტრაქტაციის დასაფინანსებლად საჭირო კრედიტების საერთო რაოდენობა განისაზღვროს 360. 625 მანეთით.

სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორამ უნდა უზრუნველჰყოს თვითეული რაიონისათვის ხვედრი ფულადი ავანსების თავის დროზე მიცემა.

12. დაწესებულ იქნეს კენაფისა და ყუბის კანაფის პროდუქციის ჩამბარებლების დასაქონლება ქვემოაღნიშნული ნორმების კვალობაზე, პურით, მცენარეული ზეთით, კობტონით, შაქრით და ჩაით სახელმწიფოებრივ ფასად, ანგარიშის ნაღდი გასწორებით და იმის მიხედვით, რომ კონტრაქტანტებმა პირნათლად შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი:

ა) 1 ცენტნერი პური—1 ტონა კენაფის და ყუბის კანაფის ჰაეროვან-ხმელ ღეროებზე;

ბ) 1 ცენტნერი პური—1-ლი ხარისხის კენაფის ერთ ცენტნერ თესლზე;

0,75 ცენტნერი პური—მე-2 ხარისხის კენაფის ერთ ცენტნერ თესლზე;

0,5 ცენტნერი პური—მე-3 და 4 ხარისხის კენაფის ერთ ცენტნერ თესლზე;

გ) 0,5 ცენტნერი პური—ერთ ცენტნერ ყუბის კანაფის თესლზე;

დ) 6 კილოგრამი მცენარეული ზეთი—ერთ ცენტნერ კენაფისა და ყუბის კანაფის თესლზე;

9 კილოგრამი კობტონი—ერთ ცენტნერ კენაფისა და ყუბის კანაფის თესლზე;



ე) 5 კილოგრამი შაქარი და 0,5 კილოგრამი ჩაი ერთ ტონნა კენაფისა და ყუბის კანაფის ჰაეროვან-ხმელ ღეროებზე;

ვ) 2,5 კილოგრამი შაქარი ერთ ცენტნერ კენაფისა და ყუბის კანაფის თესლზე.

13. განისაზღვროს კენაფისა და ყუბის კანაფის პროდუქციის კონტრაქტანტებისათვის პურისა, მცენარეული ზეთისა, კოპტონისა, შაქრისა და ჩაის მიცემის შემდეგი ვადები:

1. პურისა, მცენარეული ზეთისა და კოპტონისა:

ა) 10 %-ი—საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დადების შემდეგ, თესვის-წინა სამუშაოების ჩატარების დროს;

ბ) 10 %-ი დათესვისა და ნათესის შემოწმების შემდეგ;

გ) 15 %-ი—პირველი მარგვლის შემდეგ;

დ) 10 %-ი—მეორე მარგვლის შემდეგ;

ე) 55 %-ი—დაკონტრაქტებული პროდუქციის საბოლოოდ ჩაბარების დროს.

2. შაქრისა და ჩაისა:

ა) წლიური ნორმის 20 %-ი—1-ლ კვარტალში;

ბ) წლიური ნორმის 25 %-ი—მე-2 კვარტალში;

გ) წლიურა ნორმის 55 %-ი—ანგარიშის საბოლოოდ გასწორებისას, სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების მიხედვით.

14. კენაფისა და ყუბის კანაფის პროდუქციის კონტრაქტაციისათვის გასაცემი პურისა და სასურსათო საქონლის წლიური კონტინგენტი განისაზღვროს (ტონნობით):

პური.	2.231
მცენარული ზეთი. . .	61,5
კოპტონი.	92,3
შაქარი.	96,4
ჩაი	7,08

15. შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მომწესრიგებელი კომიტეტის რწმუნებულმა ა/კსფსრ სკს-თან უნდა უზრუნველჰყოს საკეგმო სამრეწველო საქონლის შეზიდვა კენაფისა და ყუბის კანაფის პროდუქციის კონტრაქტაციის რაიონებში 520.000 მანეთის თანხისა, მრეწველობის სავასაცემო ფასად, შემდეგ ვადებზე:

- 20%-ი—I-ლ კვარტალში;
- 20%-ი—მე-II კვარტალში;
- 20%-ი—მე-III კვარტალში;
- 40%-ი—მე-IV კვარტალში.

მე-III კვარტალში სამრეწველო საქონლის შეზიდვა განხორციელებულ იქნეს არა უგვიანეს 1934 წ. სექტემბრის 15-სა, ხოლო მე-IV კვარტალში—არა უგვიანეს 1934 წ. ნოემბრისა.



16. კონტრაქტანტებს პური, მცენარეული ზეთი, კობტონი, შაქარი და ჩიი მიეცეს აზერბაიჯანის ახალი ხრლეული კულტურების ტრესტის მეშვეობით, ხოლო სამრეწველო საქონელი—სახელმწიფო ვაჭრობისა და საომონმარებლო კოპერაციის სისტემის მეშვეობით.

17. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულებმა ა/კსფსრ სკს-თან და აზერბაიჯანის სსრ სკს-თან უნდა აწარმოონ ბრძოლა იმ კონტრაქტანტებთან, რომელნიც ბოროტულად არ შეასრულებენ თავიანთ საკონტრაქტაციო ვალდებულებათ, მოუსპონ მათ ამა დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათები და მისცენ ისინი კანონიერ პასუხისგებაში.

18. დაევალოს აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, „აზბამბატრაქტორცენტრს“ და აზერბაიჯანის ახალი ხარაღეული კულტურების ტრესტს—იხმარონ ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს თესვისა, ნათესის მოვლისა, მოსავლის აღებისა და დაკონტრაქტებული კენაფის და ყუბის კანაფის პროდუქციის ჩაბარების თავის დროზე ჩატარებას.

19. დაევალოს აზერბაიჯანის ახალი ხარაღეული კულტურების ტრესტს—წარუდგინოს ხოლმე სადეკადო ცნობები საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადების მსვლელობის შესახებ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთ ა/კსფსრ სკს-თან და აზერბაიჯანის სსრ სკს-თან.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრევი.

1934 წ. მარტის 5.

ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსი.

64. მომუშავეთა რაოდენობისა და 1934 წლის მარტის სამუშაო ხელფასის ფონდების ერთდროული აღრიცხვის ჩატარების წესის შესახებ.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. თებერვლის 17-ის დადგენილების და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. თებერვლის 17-ის დადგენილების თანახმად ამიერკავკასიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველო ამყარებს ა/კსფსრ-ში აღრიცხვის ჩატარების შემდეგ წესს.

1. ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატები და ორგანიზაციები (სახელმწიფო, კოპერატიული და საზოგადოებრივი), რომელთაც აქვთ საერთო-საკავ-



შირო ცენტრი, 3 დღის ვადაზე თავიანთი საკავშირო ცენტრისაგან ბრძანების მიღების დღიდან, შეიმუშავენ და წარუდგენენ შესათანხმებლად ა/კ. სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს პროექტს საუწყებო ბრძანებისას ერთ-დროული აღრიცხვის მოწყობის და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებში საანგარიშო ცნობების წარდგენის წესის შესახებ.

შენიშვნა. ა) სახალხო კომისარიატები და ორგანიზაციები, რომელთაც არა აქვთ სამიერკავკასიო (და საკავშირო) ცენტრები, ბრძანების პროექტს წარუდგენენ არა უგვიანეს თებერვლის 25-სა ა/კსურ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოებს შესათანხმებლად; ბ) ამის ანალოგიურად, ამიერკავკასიის ორგანიზაციები, რცმელთაც არა აქვთ საკავშირო ცენტრი, ბრძანების პროექტს შესათანხმებლად წარუდგენენ ა/კ. სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს.

2. აღრიცხვის სისავსის უზრუნვესაყოფად—ყველა სახალხო კომისარიატი და ორგანიზაცია, ქვემდებარეობის ფორმის დამოუკიდებლად (საკავშირო, ფედერატიული, რესპუბლიკანური), შეადგენს თავის უშუალო ქვემდებარე და ანგარიშვალდებულ საწარმოთა და დაწესებულებათა სიას. ამ საწარმოთა (დაწესებულებათა) სია წარედგინება, არა უგვიანეს თებერვლის 28-სა: ამიერკავკასიის ორგანოს მიერ—ა/კ. სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს, ხოლო რესპუბლიკანური ორგანოს მიერ—სათანადო რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამართველოს შემდეგი ფორმით:

№№ რიგზე	საწარმოს თუ დაწესებულების სრული სახელწოდება	იმ საადმინისტრაციო რაიონის დასახელება, სადაც იმყოფება საწარმო თუ დაწესებულება.	საფოსტო მისამართი: საფოსტო განყოფ., დასახლებული პუნქტი, ქუჩა და სახლის №	ტელეფონის №	ზემდგომი დაწესებულება, რომელსაც საწარმო თუ დაწესებულება უშუალოდ ექვემდებარება.

3. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და მათი განყოფილებები ადგენენ მათ ქვემდებარე საწარმოთა და დაწესებულებათა სიებს. სიები წარედგინება სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორას არა უგვიანეს თებერვლის 28-სა.

4. საკავშირო, ფედერატიული და რესპუბლიკანური ქვემდებარეობის ცალკეული საწარმო (დაწესებულება) ან უწყების რესპუბლიკანური ორგანო ერთ-დროული აღრიცხვის საანგარიშო ცნობებს წარადგენს თავისი ქვემდებარე თვითეული საწარმოს (დაწესებულების) შესახებ—ცალკე—სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის რესპუბლიკანურ სამმართველოში.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი განყოფილების ქვემდებარე საწარმოს (დაწესებულების) შესახები საანგარიშო ცნობები წარედგინება მათ მიერ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორს.

5. საკავშირო, ფედერატიული და რესპუბლიკანური ქვემდებარეობის საწარმოთა და დაწესებულებათა მიერ ცნობების წარდგენისათვის მყარდება შემდეგი წესი:

ა) ის საწარმონი და დაწესებულებანი, რომელთაც არა აქვთ რესპუბლიკაში მათი გამაერთიანებელი რესპუბლიკანური ცენტრი, წარადგენენ ცნობებს უშუალოდ რესპუბლიკანურ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოში;

ბ) უკეთუ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებობს საუწყებო ცენტრი, რომელიც აერთიანებს მთელ რიგ საწარმოთ (დაწესებულებათ), ამ საუწყებო ცენტრს (სახალხო კომისარიატი, სამმართველო, კონტორა, ტრესტი და სხვა მისთ.) ეკისრება ვალდებულება—შეაგროვოს და წარადგინოს რესპუბლიკანურ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოში საანგარიშო ცნობები თვითნული საწარმოს (დაწესებულების) შესახებ ცალკე.

6. საანგარიშო ცნობებს საწარმონი (დაწესებულებანი) წარადგენენ მომუშავეთა რაოდენობისა და სამუშაო ხელფასის ფონდების ყოველთვიური აღრიცხვის ჩვეულებრივი ფორმებით, რაც დამტკიცებულია მათთვის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ.

7. ცნობების წარდგენის ვადებს ცალკეული ორგანიზაციებისათვის განსაზღვრავენ რესპუბლიკანური სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოები აპრილის 10-დან აპრილის 20-მდე.

8. ცნობების წარდგენა ცალკეულ საწარმოთა (დაწესებულებათა) შესახებ ერთდროული აღრიცხვის წესით არ ანთავისუფლებს უწყებათ მომუშავეთა რაოდენობისა და სამუშაო ხელფასის ფონდების მიმდინარე აღრიცხვის ჯუშმლების წარდგენისაგან იმ ვადებზე, რაც დადგენილია მიმდინარე ანგარიშგებისათვის.

9. ის უწყება და ორგანიზაცია, ავრთვე ცალკეული საწარმო და დაწესებულება, რომელიც არ წარადგენს საანგარიშო ცნობებს დადგენილ ვადაზე, მიიციემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ნოემბრის 27-ის დადგენილების თანახმად.

რესპუბლიკანურ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოებს ეკისრებათ მოვალეობა—ამა თუ იმ უწყების და ორგანიზაციის მიერ აღრიცხვის საქმის ჩაშლის ყველა შემთხვევა სასწრაფოდ აცნობონ ა/კ. სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისთვის მოსახსენებლად (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. თებერვლის 17-ის დადგენილების მე-2 მუხლი).

ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო

აღრიცხვის სამმართველოს უფროსი პეჩერსკი.

შრომის აღრიცხვის

სექტორის უფროსი შორარი.

1934 წ. თებერვლის 19,
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 63 №-ში 1934 წ. მარტის 15-ს.

საქ. სახკომსაბჭოს სტამბა